ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №2 (2033) 13.06.2008 • ფასი 30 თეთრი

## საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები არ ეთანხმებიან ხელისუფლების კაპიტულანტურ პოლიტიკას

მე-10 გვ.

## გაზეთ «საქართველოს» ანონსი

ამოცანაა ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო სისტემის აყვანა მეცნიერულ დონემდე. სიამოვნებით მოვემსახურებით დისკუსიას ამ თემაზე

მე-14-16 გვ.

## შიდა ქართლის [illegible]

## საქართველოს ეროვნული მოძრაობის მონაწილე პარტიათა ეს პოზიცია ქართველი ერის სულისკვეთებას გამოხატავს

მე-2-9 გვ.

## გიორგი ნათაძე: კაცობრიობის მომავალია სახელმწიფოს მოღელთა კონკურენცია

მე-12 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1 მოწვევის (1990 წ.) დეპუტატების

# განცხადება

(წინამდებარე წერილი არ გამოაქვეყნა საქართველოს მასობრივ ინფორმაციათა არც ერთმა საშუალებამ. რედ.)

იმის გათვალისწინებით, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის, ქვეყნის იძულებითი გასაბჭოებისა და უცხო ძალის მიერ თავსმოხვეული მარიონეტული მთავრობის — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის №2 დეკრეტით, ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების უგულებელყოფითა და სრულიად საქართველოს ინტერესების საზიანოდ, რაც არაერთხელ დადასტურდა ოლქის არსებობის მანძილზე;

აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ოს ხალხს გააჩნია საკუთარი სახელმწიფოებრიობა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე და რომ საქართველოში მცხოვრები ოსი ეროვნების საქართველოს მოქალაქეების მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს ყოფილი ოლქის ფარგლებში და მათ, ისევე როგორც საქართველოს სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმების დაცვით კონსტიტუციურ საფუძველზე აქვთ და მომავალშიც ექნებათ ფუნქციური (მათ შორის კულტურული) ავტონომიის უფლება;

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს I მოწვევის (1990 წ.) დეპუტატები:

1. შეშფოთებით აღვიქვამთ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებს შიდა ქართლში ახალი ავტონომიური ერთეულის შექმნის თაობაზე სახელწოდებით „სამხრეთ ოსეთი“ და კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შეცვლა მის ჩრდილოეთ ნაწილში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ავტონომიური პოლიტიკური ერთეულის კიდევ ერთხელ შექმნის გზით, საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის — რეფერენდუმის გარეშე, ჩვენის მხრივ სხვანაირად ვერ შეფასდება, თუ არა როგორც სახელმწიფოებრივი დანაშაული, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, საქართველოს ხალხის სუვერენულ უფლებათა უგულებელყოფა;

2. ვადასტურებთ „სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბერს ჩვენს მიერ მიღებული კანონის მართებულებასა და აუცილებლობას საქართველოს სახელმწიფო ინტერესების, დემოკრატიული პრინციპების, სამართლის, ისტორიული სამართლიანობისა და მორალის თვალსაზრისით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს I მოწვევის (1990წ.) დეპუტატები:

შალვა აბზიანიძე, ვაჟა ადამია, ლია ანდღულაძე, აკაკი ასათიანი, ლევან ახმეტელი, მერაბ ბალარჯიშვილი, პაატა ბარათაშვილი, ზვიად ბოკუჩავა, ნემო ბურჭულაძე, მანანა გაბაშვილი, შოთა გაფრინდაშვილი, თამაზ გველესიანი, გურამ გვერწითელი, დავით გოგაძე, ემზარ გოგუაძე, ვაჟა გურგენიძე, თამაზ გუგუშვილი, თენგიზ დიხამინჯია, ალექსანდრე ვარძელაშვილი, სალომე ზვიადაძე, ხვედრი ინასარიძე, ჯემალ იონათამაშვილი, გრიგოლ (გურამ) ისაკაძე, ალექსანდრე კავსაძე, იოსებ კასრაძე, მალხაზ კვანჭილაშვილი, ნუგზარ კვაჭაძე, რესან კონცელიძე, გაიოზ კორძაძე, ზაურ კოსტავა, პაატა კოღუაშვილი, დავით კუპრეიშვილი, ავთანდილ მარგიანი, გრიგოლ მარგიანი, ირაკლი მასხარაშვილი, არჩილ მაჭავარიანი, ნუგზარ მგალობლიშვილი, ვახტანგ მეუნარგია, თემურ მჟავია, მაია ნათაძე, ნოდარ ნათაძე, თედო პაატაშვილი, გურამ პაპუნიძე, ანზორ საკანდელიძე, ნიკოლოზ სანებლიძე, მერაბ საყვარელიძე, ჯემალ საჯაია, აპოლონ სილაგაძე, ანზორ სიჭინავა, გია სუბელიანი, რამაზ სურმანიძე, დავით ტაბიძე, მერაბ ურიდია, გერმანე ფაცაცია, გიორგი ქავთარაძე, დიმიტრი ქებურია, თეიმურაზ ქორიძე, ეთერ ყაველაშვილი, ანრი ყრუაშვილი, თამაზ ყურაშვილი, თეიმურაზ შაშიაშვილი, ვალერიან შარიქაძე, ვალტერ შურღაია, გელა ჩორგოლაშვილი, ვლადიმერ ცოფურაშვილი, რომან ცხომელიძე, ზურაბ ძოწენიძე, ზურაბ წიქარიძე, გიორგი ხოშტარია, ედიშერ ჯანჯულია, ბადრი ჯაფარიძე

თბილისი, 28 ოქტომბერი, 2007 წელი

შენიშვნა: თავისი ხელმოწერა გაიწვია დეპუტატმა თ. ჩაჩავამ

საქართველოს და მისი ერის წინაშე დღეს ორი საბედისწერო კითხვა დგას. პირველია: შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველო გადავარჩინოთ იმ უმძიმესი განსაცდელის ჟამს, როცა ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს არაერთი დიდი, საშუალო და მცირე ძალა ებრძვის?

მეორეა: თუ „ჰო“, მაშინ რა და რა კონკრეტული მოქმედებებისგან (სახელდობრ, საქართველოს ხელისუფლების რა და რა ნაბიჯებისგან) შედგება ჩვენი ქვეყნის გადარჩენის, ანუ დღევანდელი მდგომარეობიდან მისი გამოყვანის, ეს პროცესი?

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, თავისი შემადგენელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პიროვნებების სახით, ამ ორივე კითხვის პასუხი ა ქ ვ ს.

პირველის პასუხია: დიახ, საქართველოს გადარჩენა და შთამომავლობისთვის გადაცემა ჩვენ არა მხოლოდ შეგვიძლია, არამედ გარანტირებულადაც (ანუ ობიექტური პირობების მიხედვით) შეგვიძლია, თუ ხელისუფლება და ხალხი მოწოდების სიმაღლეზე ვიქნებით.

მეორის პასუხი, ბუნებრივია, დაყოფილია პრობლემებისა და საქართველოს წინაშე დღეს მდგომი საშიშროებების მიხედვით. მისი ერთერთი ძირითადი ნაწილია ცხინვალის რეგიონში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის სრული აღდგენის, ანუ შიდა ქართლის დაბრუნების გზა. ამ პრობლემის გადაჭრის კონცეფცია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემავალი რამდენიმე პარტიის და საზოგადოებრივი ორგანიზაციის განცხადების სახით, ქვეყნდება ამ ნომერში.

საქართველოს ეროვნულ-განამათავისუფლებელი მოძრაობის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მისი სულისკვეთება უხინჯოდ შეესატყვისება როგორც ქართველი ერის სადღეისოსა და ისტორიულფორმატიან სასიცოცხლო ინტერესებს, ისე ჰუმანურობის, სამართლიანობისა და თანამედროვე დემოკრატიის პრინციპებს. ამ პრინციპებს ემყარება, კერძოდ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ეს განცხადებაც, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

განცხადების ხელის მომწერნი კმაყოფილნი და მადლიერნი იქნებიან, თუ საქართველოს მოქალაქეები ან უცხოელები, რომელნიც არ ეთანხმებიან განცხადებაში გამოთქმულ მოსაზრებებს, თავის კრიტიკულსა და პოლიტიკურ შენიშვნებს, რაგინდარა რადიკალური ხასიათისას, მოაწოდებენ გაზ. „საქართველოს“ და, ამგვარად, პოლემიკაში ჩაებმებიან. ეს წინადადება პირველ ყოვლისა ეხება ეუთო-ს საქართველოს მისიას, რომლის 1994-1995 წლის რეკომენდაციები ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე თვალში საცემია თავისი არარეალურობითა და მკაფიოდ გამოხატული უსამართლობით ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ.

# ეროვნულ-განმათავსიუფლებელი მოძარობის შემადგენელ პოლიტიკურ ორგანიზაციათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და პიროვნებათა ერთი ჯგუფის

# განცხადება

## საქართველოში „ოსეთის“ შექმნის კიდევ ერთი მცდელობის გამო

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი აცხადებს მზაობას, საქართველოში კიდევ ერთხელ შექმნას „სამხრეთ ოსეთი“, ანუ საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილს ოფიციალურად დაარქვას მეზობელი ქვეყნის (ალანია — ოსეთის) ეთნიკური სახელი, და საქართველოს ტერიტორიის ეს ნაწილი აღიაროს მეზობელი ქვეყნის ეთნიკური ტერიტორიის სამხრეთ ნაწილად, რაც იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობის წინაშე დგება ორი „ოსეთის“ - ერთი ნამდვილის და მეორე ყალბის - გაერთიანების ამოცანა, მაშასადამე, საქართველოსათვის მისი ტერიტორიის ერთი ნაწილის წართმევის ამოცანა, რაც ჩვენ მიგვაჩნია პირდაპირ და დაუფარავ ეროვნულსა და სახელმწიფო ღალატად, საჭიროდ ვრაცხთ გამოვთქვათ ჩვენი პოზიცია დღესდღეობით ცხინვალის რეგიონში (საქართველო) მიმდინარე - რუსეთის მიერ ინსპირირებული და ორგანიზებული - შეიარაღებული კონფლიქტის მექანიზმებისა და მისი ჩაქრობის გზების შესახებ. წინასწარ მივაწვდით საქართველოს მოქალაქეებს, ქართველებისა და ოსების ჩათვლით, და მსოფლიოს საზოგადოებრიობას რამდენსამე ძირითად ცნობას კონფლიქტის ფაქტორებისა და პირობების შესახებ, რათა ხელი შევუწყოთ იმ პროპაგანდისტული სიცრუის მხილებას, რომელსაც ამ თემასთან დაკავშირებით ავრცელებენ რუსეთის პოლიტიკური წრეები, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საქართველოს პრორუსული მთავრობის დაქვემდებარებაში ან გავლენაში მყოფი საინფორმაციო საშუალებები.

### აუცილებელი ცნობები:

### I. ტერიტორია და სახელწოდება

მიუხედავად იმისა, რომ ოსური დასახლებები საქართველოში არსებობს, XVII-XVIII საუკუნეებიდან და რომ საქართველოში მიღებული იყო და არის პროვინციების სახელდება მათში ისტორიულად მოსახლე ტომთა სახელების მიხედვით (კახეთი — კახთა სამოსახლო, მესხეთი — მესხთა სამოსახლო, სამეგრელო — მეგრელთა სამოსახლო და ა.შ), სახელი „ოსეთი“ საქართველოს ტერიტორიაზე არ გაჩენილა საქართველოს პირველ ანექსიამდე რუსეთის მიერ /1801/. ამ სახელწოდებას პირველი ხმარობს კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მმართველი და სარდალი გენერალ-ლეიტენანტი კრონინგი 26 მარტს 1802 წელს, ანუ ანექსიიდან რამდენიმე თვის შემდეგ. თავის პატაკში რუსეთის იმპერატორისადმი იგი ჯავის ზონას, ანუ დიდი ლიახვის ხეობის ზემოწელს, და პატარა ლიახვის ხეობის ზემოწელს, სადაც ოსები სახლობენ ქართველ მოსახლეობასთან შერეულად, უწოდებს „ოსეთს“. ჯავაში ოსური დასახლების ისტორია ცნობილია დოკუმენტურად: ჯავა გაუკაცრიელებულ იქნა, ანუ ჯავის ქართველი მოსახლეობა დახოცილ იქნა „ოსთაგან“, ანუ ოსთა თავდასხმის შედეგად, XVII ს-ის პირველ ნახევარში. ამ ხდომილების ამსახველი დოკუმენტი (ნასყიდობის სიგელი ქვაბულ და ზაალ მაჩაბლების სახელზე) ეხება იმ დროს, როცა ქართველი მოსახლეობა უკვე განადგურებულია მარბიელი რაზმების მიერ, მაგრამ ოსები ჯერ შემოსახლებულები არ არიან. (იხ. Дж. Гвасалиа, Шида Картли и осетинская проблема, კრებული „ Осетинский вопрос“, Тбилиси, 1994. გვ. 80-81). სხვაგან ოსების შემოსახლებას ძირითადად (მაგრამ არა ყოველთვის) მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე რუსული ადმინისტრაცია ზედსართავს „ოსური“ („осетинский“) იყენებდა მცირე ადმინისტრაციულ ერთეულთა სახელდებაში, რომლებშიც ოსები ცხოვრობდნენ ქართველებთან შერეულად ან ქართველების გარემოცვაში და უმრავლესობას არ შეადგენდნენ: „осетинский округ“, „осетинский участок“ და ა.შ. იხ. В. Итонишвили. Южная Осетия в центральной Грузии“, კრებ. „Осетинской Вопрос“ 1994, გვ. 22).

ყველაზე უფრო ინტენსიურად სახელს „ოსეთი“ და მის ზედსართაულ ფორმას „ოსური“ საქართველოს ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილების მიმართ XIX საუკუნეში ხმარობდნენ რუსული საეკლესიო წრეები, მათ შორის „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავრცელების საზოგადოება“, რომელთათვისაც, როგორც ცნობილია, საქართველოს პოლიტიკური, დემოგრაფიული და კულტურული დექართველიზაცია ისევე იყო უპირველესი წარმმართველი მიზანი, როგორც სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციისათვის. (იხ. С. Лекишвили. Когда возник термин ,,Южная Осетия“ კრებული „Осетинский Вопрос“ თბ. 1994. გვ. 229-248).

საბჭოთა რუსული ოკუპაციის დროს შექმნილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიას (ცხინვალის, ჯავის, ზნაურის და ახალგორის (მაშინ ლენინგორის) რაიონები) ისტორიულად სახელი არა აქვს, ვინაიდან იგი არც გეოგრაფიული, არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური ან სხვა რამ სახის ერთეული არ არის და არც ოდესმე ყოფილა: ეს არის რამდენიმე პარალელური მდინარის ხეობათა ზემოწელი, რომლებიც მტკვრისაკენ ჩაედინებიან, და რამდენიმესი, რომელნიც რიონისაკენ ჩაედინებიან, ერთმანეთისაგან გაყოფილნი მაღალი და, პრაქტიკულად, კომუნიკაციისათვის (მიმოსვლისათვის) დღემდე გამოუყენებელი ქედებით, ასე რომ ერთი ხეობიდან მეორეში გადასვლა დღესაც ხდება ბარში ჩამოსვლით და მეორე ხეობის აყოლით.

საყურადღებოა, რომ გამოთქმაში „სამხრეთ ოსეთი“ ნაგულისხმევი ტერიტორია არც მაშინ, როცა რუსულ სიტყვახმარებაში ეს გამოთქმა შემოდის, არც შემდეგ 1922 წლამდე, როცა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ შეიქმნა, არ კონკრეტდება: იგულისხმება საქართველოს ყველა ის ტერიტორია, სადაც ოსები არიან, და არა ის, სადაც ისინი მოცემულ არეალში /სოფელში, თემში, ხეობაში...) უმრავლესობა არიან. იხილეთ, მაგალითად, „სამხრეთ ოსეთის“ კომუნისტური რაიკომების ჩამონათვალი რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკების) „სამხრეთ ოსეთის“ საოლქო კომიტეტის ცნობილ მემორანდუმში, რომელზეც ხელს აწერენ, სხვებთან ერთად, კობი-თრუსოს, კახეთის, გუჯარეთის, ქარელის რაიკომები. (ციტ. А. Ментешашвили Осетинский сепаратизм в 1918-1920 годах. კრებული „Осетинский вопрос “, თბ. 1994 წ. გვ. 282-283) ეს იმას ნიშნავს, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაში რუსეთის მიერ მართული სეპარატისტები გულისხმობენ საქართველოს მთელ იმ ნაწილს, სადაც არის ოსური იზოლირებული სოფლები და მოსახლეობა, დაწყებული დასავლეთი საქართველოდან და დამთავრებული კახეთის აღმოსავლეთი რაიონებით.

საქართველოს ტერიტორიის ის ერთადერთი ნაწილი, სადაც ოსებმა იმიგრაციის შედეგად პრაქტიკულად ერთგვაროვანი ოსური მოსახლეობა შექმნეს (დვალეთი), რუსულმა ადმინისტრაციამ XIX საუკუნეშივე გამოიყვანა თბილისის გუბერნიის შემადგენლობიდან, ამიტომ ის 1918 წელს საქართველოს საზღვრებში აღარ იყო.

### II. მოსახლეობა

საქართველოში 1989 წლის აღწერით 164 ათასი ოსი ცხოვრობს. ამ მოსახლეობის ინტეგრირებულობა საქართველოს საზოგადოებაში ტრადიციულად ძალიან დიდია (მაგ. შერეული, ქართულ-ოსური ქორწინებების პროცენტის მიხედვით). ამ რაოდენობიდან მხოლოდ 65 ათასი (აღწერისას ხელოვნურად გაზრდილი მონაცემებით) ცხოვრობს ყოფ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ფარგლებში (30 ათას ქართველთან ერთად). საქართველოს ტერიტორიის არც ერთ წერტილში ეს მოსახლეობა ავტოხთონური არ არის. იმიგრაცია (მშვიდობიანის ჩათვლით) დაწყებულია XVII ს-ში, მაგრამ მისი ძირითადი ტალღები - მთელი ამ რაოდენობის ძირითადი მასა - მოდის 1864 წლის შემდგომ ხანებზე (ესაა საქართველოში ბატონყმობის გაუქმების წელი, რომლის შემდეგაც უყმებოდ დარჩენილი ქართველი თავადაზნაურობა იწყებს კავკასიონის ჩრდილო კალთებიდან ოსების მასობრივ შემოსახლებას ხიზნებად) და საბჭოთა ხელისუფლების წლებზე, როცა ტარდებოდა ხელოვნურად შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ ხელოვნური დასახლება ოსებით. საქართველოს მთელი ოსური მოსახეობა არის დიასპორა.

### III. სოციალური პირობები.

პრაქტიკულად საქართველოს მთელი ოსური მოსახლობა XX საუკუნის დამდეგისათვის იყო უმიწაწყლო აგრარული მოსახლეობა. წინა საუკუნის დამლევის რუსული აღწერები მოსახლეობისა უკვე გვიჩვენებს ალმ. საქართველოში მრავალრიცხოვან ოსობას, მაგრამ მათში არც ერთი არაა მიწის მესაკუთრე. ამით შეიქმნა უმწვავესი აგრარული კონფლიქტი და უმწვავესი სიძულვილი უმიწაწყლო აგრარული მოსახლეობისა (პრაქტიკულად — ოსებისა) მიწის მქონეების (პრაქტიკულად - ქართველების) მიმართ. ამ სიძულვილმა (ისევე, როგორც მისმა გამომყენებელმა ლოზუნგმა „მიწა — მშრომელებს“) შეადგინა ფსიქოლოგიური საფუძველი რუსი ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული სამი ოსური „აჯანყებისათვის“ (1918-1920 წლები) დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც მისმა ორგანიზატორებმა ხელოვნურად მისცეს „ნაციონალური“ აჯანყების გარეგნული სახე.

### IV. საქართველოს ტერიტორიის ნაწილის „ოსეთად“ გარდაქმნის იურიდიული ფორმა

საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის გადაწყვეტილება (1920 წ) ეკუთვნის „რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)“ ცეკას კავკასიის ბიუროს, რომელსაც არანაირი უფლება არ ჰქონდა უცხო სუვერენულ ქვეყანაში (საქართველო იმ დროს დამოუკიდებელი ქვეყანა იყო) ამ უკანასკნელის სახელმწიფო მოწყობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისა. საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობისა და მეორე ანექსიის (1921 წლის თებერვალი) შემდეგ საბჭოთა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მითითებით და რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის კომიტეტის მითითებით საქართველოს მთავრობამ (ცაკ-მა) მიიღო დეკრეტი №2 საქართველოში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნის შესახებ (20 აპრილი 1922). თოთხმეტი თვე, რომელიც ამ თარიღს აცილებს საქართველოს ანექსიის თარიღისაგან, მოჰხმარდა ინტენსიურ მუშაობას იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად დაეთრგუნათ ხსენებული ტერიტორიის ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობა განზრახული გადაწყვეტილებისათვის და, რაკი იგი ვერ დაითანხმეს, მიელოთ გადაწყვეტილება მისი ნების ფაქტობრივი უგულებელყოფის შესახებ (პრაქტიკულად, გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ და ცალსახად უკარნახა ქართულ საბჭოთავე ხელისუფლებას, რომელშიც წინააღმდეგობა ამ დადგენილებისადმი დიდი იყო. იხ. А. Ментешашвили. Осетинский сепаратизм в 1918-1929 годах, კრებული Осетинсктй вопрос, თბილისი, 1994, გვ. 249-296).

ავტონომიური ოლქი შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის“ სახელწოდებით და მასში შეყვანილ იქნა 40 ქართული სოფელი პირწმინდად ქართველი, ავტოხთონური მოსახელობით.

ეს სიახლე განხორციელდა საქართველოში ყოველგვარი

რეფერენდუმის ჩაუტარებლად და საქართველოში რაიმე წარმომადგენლობითი არჩეული ხელისუფლების, ანუ დემოკრატიის ყოველგვარი ნიშნების, არარსებობის პირობებში.

საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას (1918-1921), რომელიც მსოფლიოს მიერ ცნობილი იყო ჯერ დე ფაქტო, შემდეგ დე იურე, საქართველოში „ოსეთის" არსებობა არ უცვნია. პირიქით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი ნოტაში რუსეთისადმი ხაზს უსვამს **„В пределах Грузии нет Южней Осетии"** (იხ. მისი **1920** წლის 20 მაისის ნოტა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. ციტ. **А. Ментешашвили** ციტ. შრომა გვ. 288).

საქართველოს პირველი რეალურად (დემოკრატიულად) არჩეული (1990 წ 28 X— 11. XI) უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო — საქართველოს უზენაესი საბჭო — ვალდებული იყო გაეუქმებინა უკანონო (უსაფუძვლო) და მოსახლეობის მხრიდან სანქციის არმქონე ავტონომიური ერთეული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" და გააუქმა კიდეც იგი 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით.

1991 წლის 3 მარტს სსრკ-ს პრეზიდენტმა გორბაჩოვმა გამოსცა ბრძანებულება საქართველოს ხსენებული 11 დეკემბრის კანონის გაუქმების შესახებ, რისი კანონიერი უფლებაც მას აღარ ჰქონდა, რადგან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 29 ივნისის დადგენილებით უკანონოდ და ბათილად გამოცხადდა ყველა აქტი, რომელიც „აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს" და „ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებულ პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებებით", მათ შორის ის აქტებიც, რომლითაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას უფლება მიენიჭებოდა, რომ გააუქმოს საქართველოს უზენაესი საბჭოს აქტები საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ.

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" „რესპუბლიკად" გარდაქმნის ცხინვალში შესრულებული აქტი (20 IX 1990), ისევე როგორც შემდგომი არჩევნები ამ „რესპუბლიკის" „პარლამენტისა" (9. XII 1990) და 1991 წლის იანვრის „რეფერენდუმი" „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის თაობაზე და მისი რუსეთთან შეერთების თაობაზე, კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან ეწინააღმდეგება საქართველოს ამ დროს არსებულ კონსტიტუციას, და იურიდიული ძალის არმქონეა, ვინაიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" მოსახლეობა, როგორც ასეთი, არ არის და ვერ იქნება საგარეო თვითგამორკვევის, ანუ სახელმწიფოსაგან ტერიტორიული გამოყოფის (სეცესიის) უფლების სუბიექტი. (იხ. **Л. Матарадзе, Юридический аспект грузино-осетинского конфликта**, ციტ. კრებული გვ. 322-338).

ამგვარად, დღეს დე იურე საქართველოს ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთი" არ არსებობს, ამიტომ არც საქართველოს ხელისუფლებას, არც სხვა სახელმწიფოების ხელისუფლებებს თავის ოფიციალურ სიტყვახმარებაში არა აქვთ ტერმინის „სამხრეთ ოსეთი" ხმარების უფლება.

### V. „ქართულ-ოსური" კონფლიქტის მიმართება სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებთან

დღეს ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის, ისევე როგორც საერთოდ ოსური სეპარატიზმის მთავარი ინიციატორი, წამქეზებელი და სულის ჩამდგმელი რუსეთი ტრადიციულადვე დაინტერესებულია

- საქართველოს დასუსტებაში (ყველა პარამეტრში), რათა შესაძლებელი იყოს მისი იმპერიული ძალის კვლავ დაბრუნება საქართველოში, როგორც სამხრეთისაკენ შეტევის ან ზეწოლის (ევენტუალურად) და შუა აზიისაკენ დასავლეთისათვის გზის გადაკეტვის (დღესვე) პლაცდარმზე.

— კავკასიონის სამხრეთით სათავისოდ ბაზის შექმნაში მაგისტრალური გზის „შავი ზღვა — კასპიის ზღვა — შუა აზია" კონტროლირების შესაძლებლობის მოსაპოვებლად (ცხინვალიდან გორამდე, რომელიც სარკინიგზო კვანძიცაა და საავტომობილო გზისაც, 32 კილომეტრია).

ევროპის ზოგი ქვეყანა დაინტერესებულია

— კავკასიაში ოსური მოსახლეობის სახით საყრდენის მოპოვებაში ინდოგერმანული სოლიდარობის იდეოლოგიურ ბაზაზე (ოსები ინდოევროპელნი არიან — ერთადერთი ინდოევროპელი ხალხი ჩრდილოეთ კავკასიაში).

— გარკვეული ეროვნული ანკლავის გავლენისუნარიანობის გაძლიერებაში — საქართველოში ფაქტობრივად ოსური სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნაში — რითაც ჩნდება პრეცედენტი გარკვეული ეთნიკური (ეროვნული) ანკლავის (ანკლავების) პოლიტიკური გაძლიერებისათვის ევროპაში.

- იმაში, რომ ეთნიკური სეპარატიზმის ძალის გაძლიერებისაკენ მიმართულმა პრეცედენტმა წონა მოუმატოს იმ ქვეყნების საკუთარ სპეციფიკას ევროპის შიგნით, რომელთაც თავის შიგნით სეპარატისტული ძალები არ ჰყავთ.

არსებობს აგრეთვე გარკვეული ლობის დაინტერესება

- დასუსტებული საქართველოს ტერიტორიის ეკონომიკურ ათვისებაში, ხოლო შემდეგ იქ საკუთარი პოლიტიკური გავლენის გაძლიერებაში და საკუთარი დემოგრაფიული პოზიციების შექმნაში, რათა ალტერნატიული ტერიტორია შეიქმნას, როგორც რეზერვი, იმ შემთხვევაისათვის, თუ იქ, სადაც სახელმწიფო აქვს, საშიშროება შეექმნა მეზობლებთან ომების შედეგად.

- „შავი ზღვა — შუა აზია" მომავალი გზის შესაძლებლობათა შემცირებაში, როგორც კონკურენტისა დასავლური დემოკრატიის აღმოსავლური პლაცდარმის როლის ტვირთვაში.

საქართველოსათვის ვერც ერთი ამ მიზანთაგანი იმპერატიული ვერ იქნება. საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას თავისი ქვეყნის აწმყო და სამომავლო სასიცოცხლო ინტერესი;

### VI. ვინ არიან საქართველოში „სამხრეთ ოსეთის" შექმნის გადაწყვეტილებაზე პასუხიმგებელი პირები

მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას დიდი მანძილი აშორებს სრულფასოვანი ლეგიტიმურობის მდგომარეობისაგან. საქართველოს პირველი (1921 წლის ანექსიის შემდეგ) დემოკრატიულად არჩეული, ანუ რეალურად არჩეული ხელისუფლება (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და პრეზიდენტი) 1991-1992 წლების მიჯნაზე დაემხო სამხედრო პუტჩის შედეგად, რომელიც, როგორც დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია საქართველოში, ორგანიზებული იყო რუსეთის მიერ. ამ უკანასკნელის მიერვე, ხუნტისავე ხელით, ხელისუფლებაში მოყვანილ იქნა შევარდნაძე, რომელიც დღეს, პრაქტიკულად, მხილებულია საზოგადოებრიობის თვალში, როგორც რუსეთის აგენტი და რუსული ინტერესების გამტარებელი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ. სააკაშვილი და მისი კოლეგები დღევანდელ ხელისუფლებაში რვა წლის მანძილზე შეადგენდნენ შევარდნაძის ერთგულ გუნდს, რომელიც მორჩილად ატარებდა შევარდნაძის ყველა ანტიქართულ განზრახვას და მონაწილეობდა კორუფციის კულტივირებაში. ეს გუნდი ხელოვნურად ჩაენაცვლა შევარდნაძეს და უსისხლო „ვარდოვანი" „რევოლუციის" სახით დაეუფლა სახელმწიფოს საჭეს შევარდნაძისადმი ხალხის უფართოესი მასების სიძულვილის ტალღაზე. დღევანდელ ხელისუფლებაში პარლამენტი არის პირწმინდად არალეგიტიმური, რადგან იგი არჩეულია ტოტალური გაყალბებით, რომელშიც არანაირად არ აისახება ხმათა მიცემის რეალური რიცხვები. ამგვარად, საქართველოს მმართველი ჯგუფი არ არის უფლებამოსილი, ქვეყნის სახელით დასაკარგავად (დღეს ან მომავალში) დათმოს მისი ტერიტორიები. ამ ხელისუფლების მიერ საქართველოში „სამხრეთ ოსეთის" შექმნა არის ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი და არალეგიტიმური წყაროდან მომდინარე ნაბიჯი, რის გამოც გარდაუვალია მისი გაუქმება მომავალი რეალური (დემოკრატიულად არჩეული და ერთგული) ხელისუფლების მიერ და მის გადამდგმელთათვის პასუხის მოთხოვნა.

### VII. არსებული კონფლიქტი, როგორც პრეცედენტი მსოფლიოსათვის

იმ შემთხვევაში, თუ პრეცედენტის სახით დაკანონდება, რომ დემოგრაფიული დინამიკა (რომელი ეთნიკური ჯგუფი გამრავლდა, რომელი უმცირესობაში დარჩა და ა. შ) განსაზღვრავს მოცემული ტერიტორიის პოლიტიკურსა და იურიდიულ სტატუსს, ეს იქნება სტიმულირება ყველა ეთნიკური ჯგუფის შიშისა ყველა სხვა ეთნიკური ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე, მაშასადამე, პირდაპირი სტიმულირება ეთნიკური წმენდისა და მისი ძირითადი იარაღის — გენოციდისა — მთელ მსოფლიოში.

### VIII. ცხინვალის კონფლიქტი ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით

მსოფლიოში მიღებული ნორმებით, რომლებიც არეგულირებს ადამიანის უფლებების, მათ შორის — მინორიტეტულ ჯგუფთა უფლებების დაცვას, ეთნიკური და ეროვნული თვითგანსაზღვრა (თვითგამორკვევა) არ გულისხმობს ჯგუფის მიერ საკუთარი ჯგუფური ეთნიკური (ეროვნული) თვითდამკვიდრების ძებნას სხვების ეთნიკურსა და პოლიტიკურ ტერიტორიაზე თავისი პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულების შექმნის გზით. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ეთნიკური (ეროვნული) ჯგუფი მხოლოდ იმ შემთხვევაში სარგებლობს ტერიტორიული თვითგამორკვევის უფლებით არა მისი სახელის მატარებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როცა იგი ადგილობრივი უმცირესობაა, ანუ როცა იგი, როგორც ეთნოსი, აქაურია. ხალხს, რომელსაც დედამიწაზე სამშობლო აქვს, ისიც — სახელმწიფოს ან სხვა პოლიტიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნის სახით, არა აქვს იმის უფლება, რომ მისმა დიასპორამ სხვა ქვეყანაში პოლიტიკურ-ტერიტორიული თავითგამორკვევა, მით უმეტეს — თავისი ეთნონიმით სახელდებული ტერიოტორიულ-პოლიტიკური თვითგამორკვევა მოითხოვოს. ოსებს აქვთ თავისი სამშობლო — ქ. ვლადიკავკასის გარშემო არსებული დიდი გეოგრაფიული არეალი, რომელიც დღევანდელი ოსი ერის შუა საუკუნეებში ფორმირების ადგილია (ალანთა და ადგილობრივ ოსთა შერწყმით). ოსურ დიასპორას საქართველოში აქვს ცხოვრების, თვითდამკვიდრებისა და განვითარების ყველა უფლება, როგორც ინდივიდთა და ოჯახთა კრებულს, მათ შორის — ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან თავისუფლებისა და საკუთარი ეთნიკური (ეროვნული) სახის მარადიულყოფის უფლებაც, მაგრამ არა აქვს მოცემული ტერიტორიის რომელიმე ნაწილის თავისი პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულის შესაქმნელად გამოყენების უფლება, მით უმეტეს — მისი საკუთარი ეთნონიმის მიხედვით სახელდების უფლება.

კურიოზულია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის კომპარტიის გადაწყვეტილების მიღების დროს, რომლითაც „სამხრეთ ოსეთი" შეიქმნა, და საქართველოს მონურად მორჩილი მარიონეტული მთავრობის მიერ მისი დეკრეტად ქცევის დროს „ჩრდილოეთ ოსეთი" არც კი არსებობდა — შექმნეს „სამხრეთ ოსეთი" მაშინ, როცა ნამდვილ ოსეთში სიტყვა „ოსეთი" არ ფიგურირებდა.

### IX. პერსპექტივა

ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტს აქვს ორი ასპექტი. ერთი (და გადამწყვეტი) არის ის, რომ რუსეთი იბრძვის ამიერკავკასიისათვის, კავკასიონის სამხრეთით საიმედო პლაცდარმის შექმნის მცდელობის სახით. მეორეა ის, რომ ოსი ეთნოსი იბრძვის მიწისათვის და დამატებითი ტერიტორიისათვის საქართველოს ხარჯზე.

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში მაცხოვრებელ ოსებში არიან ადამიანები, რომელთა ცნობიერებაში ქართველი ერის გენოციდის დიდი ისტორიული მეხსიერება ცოცხლობს. ოსური ლაშქრობის მიერ ჯავის გაუკაცრიელების ფაქტი (XVII ს.) ზემოთ უკვე ვახსენეთ. უახლესი ისტორიის ფაქტია ქართული სოფლების დარბევა, ძლეტა, განადგურება და აყრა 1921 წლის თებერვლის შემდეგ, როცა საქართველო რუსეთის მიერ მეორედ იქნა ანექსირებული და მის ყველა მტერს, რუსეთის წინაშე უკვე დიდი დამსახურების მქონე ოსური რაზმების ჩათვლით, სამოქმედოდ ხელი გაეხსნა. არსებობს ამ დროს ცხინვალის მიმდებარე რამდენიმე ქართული სოფლის მაცხოვრებელთა კოლექტიური განცხადება გასაბჭოებული საქართველოს მთავრობის სახელზე, სადაც აღწერილია გენოციდის ეს პროცესი' (ის სოფლები — მონასტერი და კიდევ რამდენიმე სხვა - მას შემდეგ მართლაც აღარ არსებობენ, როგორც ქართული სოფლები. იქ ახლა მხოლოდ ოსები ცხოვრობენ). იგივე გენოციდი გრძელდება ახლაც. მაგალითად, 90-იან წლებში მოისპო ქ. ცხინვალში ინკორპორირებული წმინდად ქართული სოფლები გუჯაბაური და [illegible] უბანი. ზნაურის რაიონში მოისპო 11 ქართული სოფელი: მოსახლეობა აყარეს რუსის ხიშტის საფარს ქვეშ და ისეთი მეთოდების გამოყენებით (სხვასთან ერთად), როგორიც იყო, მაგალითად, მოხუცებული ბუზალაძის ქალის დაწვა საკუთარ სახლთან ერთად (ადამიანთა ცოცხლად დაწვას, როგორც მეთოდს, ოსებმა მიმდინარე კონფლიქტში მრავალჯერ მიჰმართეს. მსურველს შეუძლია ნახოს მათი პატარა ჯგუფის ფერფლის საფლავი გორის რაიონის ს. ტყვიავის ცენტრში). 40 ქართული სოფლიდან, რომელიც ძალადობით შეიყვანეს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" შემადგენლობაში 1922 წლის 20 აპრილის №2 დეკრეტით, დღეს თითქმის ნახევარი უკვე აღარ არსებობს. ეს გაბედა ოსურმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ ავტონომიურ ოლქში, რომელიც პირწმინდად უკანონო იყო და რომელსაც არც ერთი საათი არ უარსებია დღემდე რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალის მასში დგომის გარეშე. ადვილი წარმოსადგენია, რას გაბედავს იმავე ოსების ხელისუფლება იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება მსოფლიოში დღეს ტრიუმფალური სვლით მავალი დასავლური დემოკრატიის სანქცია ტერიტორიის სამართავად! ჩვენ არ ვართ ისეთი პესიმისტები, რომ ქართველთა გენოციდის ზემოხსენებული ისტორიული ტენდენცია ყველა ოსს მივაწეროთ. ეს სულისკვეთება, მით უმეტეს — მისი ქმედებაში რეალიზაციისათვის მზაობა ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ყველგან და ყოველთვის, რა თქმა უნდა, ადამიანთა მხოლოდ მცირე პროცენტშია მოცემული მკაფიო სახით. მაგრამ ამ მცირე პროცენტში იგი __არის__. საკმარისია, მას შესაბამისი სოციალური და პოლიტიკური პირობები შეექმნას (მაგალითად, ოსების სასარგებლოდ ქართული ტერიტორიის მიტაცების „კეთილშობილური პატრიოტული ამოცანის" კონტექსტში), რათა ამ ინსტიქტმა სტიქიური ძალით იფეთქოს და უხვი ახალი მოსავალი მოიტანოს.

საქართველოს დღევანდელ ფარულად პრორუსულ ხელისუფლებას მოვლენათა განვითარება სწორედ ამ მიმართულებით მიჰყავს. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა, რომელთა ერთმა ნაწილმა, ეუთოს საქართველოს მისიის სახით, სამწუხაროდ, გამოთქვა ძირფესვიანად არარეალისტური და ასევე ძირფესვიანად ანტიქართული რეკომენდაცია საქართველოში კიდევ ერთხელ „ოსეთის" შექმნის შესახებ, უნდა გაითვალისწინონ, რომ ხსენებული მიმართულების ხელისუფლება საქართველოში მუდამ არ იქნება. მისი არსებობა ისტორიული შემთხვევითობაა, მძიმე რუსულ-აგენტურული მემკვიდრეობით განპირობებული, და, ამდენად, წარმავალია. საქართველოში დემოკრატიული გზით არჩეული წარმომადგენლობითი ხელისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში გააუქმებს საქართველოში უკანონო „ოსეთს", რომლის შექმნა ქართველი ერის შეურაცხმყოფელია და სახელმწიფოს ძირის მომთხრელი. დღეს მისი შექმნა იქნება არა საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის გამარჯვებით დამთავრება, არამედ ამ ბრძოლის მხოლოდ გადავადება. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ მძიმე დამარცხების რისკი ამ ბრძოლაში

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

(რაც, ფაქტობრივად, საქართველოს წინააღმდეგ არსებულ საერთაშორისო შეთქმულებასთან ბრძოლაა), არსებობს, მაგრამ იმის ალბათობა, რომ საქართველო წინააღმდეგობის გაუწევლად დასთანხმდეს თავისი ისტორიის ესოდენ სამარცხვინო დამთავრებას, ან საბოლოო დამარცხება განიცადოს, ძალიან მცირეა.

ქართველი ხალხი არ დათმობს ტერიტორიას, არც დაუშვებს (ჯამში) თავისი დღესდღეობით უბოროტესი და უსახიფათოესი მტრის — რუსეთის — ოფიციალურსა და კანონიერ გადმობიჯებას კავკასიონის ქედზე. იქნება მუდმივი ბრძოლა ცვალებადი წარმატებით, რომელშიც ქართველი ხალხი ან გაიმარჯვებს და გააგრძელებს თავის მიწაზე ცხოვრებას და განვითარებას, ან დამარცხდება და შეუქცევადად დაადგება დედამიწის პირიდან თანდათანობით აღგვის გზას (რადგან კავკასიონზე ზღუდემორღვეული საქართველო გეოპოლიტიკურად არასიცოცხლისუნარიანი ხდება).

**შენიშვნები:** საკითხის სინათლისთვის საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენს წინამდებარე განცხადებას რამდენიმე შენიშვნა დავურთოთ.

1. უკვე მრავალი წელიწადია, რაც რუსეთის ხელისუფლება საერთაშორისო ურთიერთობათა ყველა ნორმის დარღვევით რუსეთის მოქალაქეობას აძლევს მის მიერ ოკუპირებული ქართული ტერიტორიების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის — მოსახლეობას, რათა საბაბი ნახოს თავისი უხეში ჩარევისათვის შეიარაღებული ძალით (თუმცა კანონიერ საბაბად ამისათვის ამ ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეების ყოფნა არ კმარა). ამ პრაქტიკაზე ეფექტიანი რეაგირება არ მიუცია არც შევარდნაძის ხელისუფლებას, არც დღევანდელს. ასევე, არ ყოფილა მათგან ამ წლების მანძილზე ოფიციალური განცხადება და შესაბამისი იურიდიული ნაბიჯები იმის გამო, რომ რუსეთი აწარმოებს საბრძოლო მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ, ანუ ომს საქართველოს წინააღმდეგ, — რომ, მაშასადამე, საქართველოს ომები ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში არის ქართულ-რუსული ომი, რომელიც გრძელდება.

ხსენებული ორი ფაქტის გათვალისწინება აუცილებელია ყველა იმისათვის, ვისაც ჰსურს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის შეფასება მის მიერ გამოცხადებულ კაპიტულაციათა მომავალი საქართველოსათვის სავალდებულოობის ან არასავალდებულოობის თვალსაზრისით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ხელისუფლებათა მიერ განხორციელებული კაპიტულაციები თავისუფალი მომავალი საქართველოსათვის სავალდებულო ვერ იქნება.

2. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში სულ 164 ათასი ოსი ცხოვრობს, ამათში 100 ათასი — ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ფარგლებს გარეთ. დღეს ხელისუფლებას (საფიქრებელია, რუსული დავალებით) ამ უკანასკნელი რაოდენობის შემცირების ტენდენცია აქვს, რათა შეინიღბოს ის ფაქტი, რომ ოსი მოსახლეობის ინტერესებზე, მათ შორის — მის ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვა ორიენტირებული უნდა იყოს იმ 100 ათასზე, და არა მარტოოდენ უკანონო ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის და რუსეთთან შეერთების მაძიებელ 60 ათასზე. ამიტომ საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ

— ოსური მოსახლეობის მკვეთრი შემცირება კონფლიქტის პირველ (მწვავე) სტადიაზე არ მომხდარა. რუსული პროპაგანდა საქართველოდან „ლტოლვილთა“ რიცხვად ასახელებდა 40, 60, 80 და 120 ათას სულს, თუმცა სინამდვილეში მათი რიცხვი, საქართველოს მთავრობასთან არსებული ქართულ-ოსური ურთი-ერთობების დროებითი კომისიის (თავმჯდომარე ნ. ნათაძე) გამოთვლით, იყო 19 ათასზე ნაკლები. მათი დიდი უმრავლესობა დაუბრუნდა თავის საცხოვრებელს. მართალია, დღეს საქართველოდან არის უზარმაზარი ემიგრაცია სამუშაოს საძებნელად, მათ შორის, ცხადია, ოსებისაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი გამოაკლდნენ საქართველოს მოსახლეობას (რადგან იგულისხმება, რომ საშოვარზე გასული ადრე თუ გვიან შინ ბრუნდება)

3. ეუთოს საქართველოს მისიამ (პირველი დამფუძნებელი — დიარმატი, უნგრეთი, შემდეგი თავმჯდომარე — ცვეტკოვი, უკრაინა, შემდეგი თავმჯდომარე — აიფი, გერმანია, შემდეგი თავმჯდომარე — ბოდენი, გერმანია) შეიმუშავა და საქართველოს ხელისუფლებას წარმოუდგინა „რეკომენდაციები“ ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე, რომელიც თავისი ანტიქართული მიკერძოებით, ულოგიკობით, ფაქტებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით და პოლიტიკური აზროვნების არაადექვატურობით, ალბათ, ერთერთი ყველაზე არასასახელო ტექსტია დიპლომატიის პრაქტიკაში და პოლიტიკური აზრის ისტორიაში. მოვიყვანთ შემდგენელთა მსჯელობის რამდენსამე ნიმუშს.

### ულოგიკობის მაგალითი (ერთი მრავალთაგანი)

ზოგადი წანამძღვრიდან „საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკა და ეუთოს პრინციპები მოითხოვენ, რომ ვითარების შეფასებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნან ფაქტები, და არა მათი წარმოშობის ისტორია“, რაც თავისთავად მანკიერი პრინციპია (რადგანაც უგულებელყოფს ერის, ქვეყნისა და ადამიანის უფლებასაც, რომ ჰქონდეს ისტორიული მეხსიერება, და გუშინდელი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიღებული უპირატესობების დღეს გამოყენების აღკვეთის უფლებასა და მოვალეობასაც) ორი სხვადასხვა კონკრეტული სუბიექტისათვის ორი სხვადასხვა დასკვნა კეთდება. სახელდობრ, იმ ფაქტიდან, რომ „არსებობს „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული ერთეული, რომლის მოსახლეობაშიც ჭარბობენ ოსები“ (თუმცა ეს ერთეული შექმნილია უცხო ოკუპანტის მიერ და არსებობის სულ 70 წლის ისტორია აქვს, ისიც მხოლოდ რუსული რეგულარული ჯარის იქმყოფობის პირობებში), ერთის მხრივ, კეთდება დასკვნა, რომ, სიტუაცია არ უნდა შეიცვალოს ოსების პოზიციის საზარალოდ, მეორე მხრივ კი დასკვნა, რომ, ოსების ნების შესაბამისად, იგი უნდა შეიცვალოს ქართველების საზარალოდ, — რომ ოსებს უნდა მიეცეთ მრავალი ახალი უპირატესობები ამ ტერიტორიაზე, რომლებიც მანამდე არ ჰქონდათ.

### ფაქტების არასწორი კონსტატაციის (სიცრუის) მაგალითი (ერთი მრავალთაგანი)

მისია აცხადებს, რომ ოსების დასახლება საქართველოში მოდის XIV საუკუნიდან. ეს ტყუილია. ამ საუკუნეში იყო ოსების ლაშქრობა საქართველოზე (მონღოლთა ლაშქრობის კონტექსტში), მაგრამ მას დემოგრაფიული შედეგი არ ჰქონია: ოსები განდევნეს ისე, რომ მათი დასახლება არ მომხდარა. ამგვარად, ოსური დასახლების დასაწყისი ამ საუკუნეს არ ეკუთვნის (და რომც ეკუთვნოდეს, ამით მაინც არ ირღვევა ის ფაქტი, რომ ოსები საქართველოს ავტოხთონური მოსახლეობა არ არიან, არამედ ავტოხთონური ქართული მოსახლეობის მყოლ უცხო ტერიტორიაზე მოსული მოსახლეობა (დიასპორა) არიან).

### კონფლიქტის დაცხრობის ამოცანისადმი მისიის ამორალური მიდგომის მაგალითი (ერთი მრავალთაგანი)

მისიის რეკომენდაციებში ვკითხულობთ: „კოლექტიურ დონეზე, შეიარაღებულ კონფლიქტს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისა და ოსებისათვის. კონფლიქტის ქართველ მონაწილეთა შორის მეტისმეტად მრავალს ჰქონდა იმის განცდა, რომ დადგა დრო „სამხრეთ ოსეთის“ დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლისა და ისტორიის „შესწორებისა“. ცხინვალის საარტილერიო დაბომბვა იყო უკანასკნელი და ყველაზე მხეცური შედეგი პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა ოსების განდევნას და მოსპობას... თვეთა მანძილზე ოსები ცხინვალში და მის გარშემო თავისი არსებობისათვის გარდუვალი საფრთხის წინაშე იდგნენ. ამიტომ ქართულ მხარეს ჰმართებს დამაჯერებელი მოქმედება, რათა ოსები დაარწმუნოს, რომ მათ საქართველოში მომავალი აქვთ“. ეს სიტყვები ცილისწამებაა ქართული მხარის მიმართ. ჯერ ერთი, ქ. ცხინვალი მთელი კონფლიქტის მანძილზე ღია იყო მიმოსვლისათვის ჯავისა და წუნარის („ხეთაგუროვოს“) მიმართულებებით, მაშასადამე, მოსახლეობას თავისუფალი გადაადგილება შეეძლო. მეორეც, არც ერთი ქართველის მიერ არ გამოთქმულა დემოგრაფიული სურათის შეცვლის და ისტორიის „შესწორების“ სურვილი, არამედ ფიგურირებდა (და ძალაშია) მხოლოდ იმის სურვილი, რომ რუსი ოკუპანტების მიერ ამ ტერიტორიისათვის მინიჭებული ყალბი სახელი „სამხრეთ ოსეთი“ აღარ აღდგეს. (ამგვარი განზოგადებული ბრალდებების წამოყენებას ფაქტის დამოწმება უნდა, რასაც მისია არ იქმს და ვერ იქმს). მესამეც, მოგონილია (რუსული პროპაგანდის მიერ) ცხინვალის საარტილერიო დაბომბვა ქართველების მიერ. ამის მაჩვენებელია ის, რომ ცხინვალში საარტილერიო ცეცხლით მიყენებული დაზიანება არავის უნახავს. საქართველოში ხელისუფლების ფაქტობრივი ალარარსებობის პირობებში ცხინვალის გარშემო დაეხეტებოდნენ რუსული სამხედრო ქვეგანაყოფის „ღამურას“ მებრძოლები მძიმე ტექნიკით, რომელთა ღია „მიზანიც“ იყო თავისი სამსახურის შეთავაზება მხარეებისათვის, ნამდვილი დავალება კი (რაც ყველასათვის ცხადი იყო) — პროვოკაციების მოწყობა (იმ საარტილერიო „დაბომბვის“ — ფუჭი ჭურვების, „ბალვანკების“ გამოყენებით — სიმულირება და ა. შ.). მოყვანილ ტექსტთან დაკავშირებით მისიის პოზიციის ამორალობა იმაშიც გამოიხატება, რომ იგი მალავს ოსების მიერ (რუსების ხიშტებს ამოფარებით) ქართველთა ეთნიკური წმენდის და, მაშასადამე, გენოციდის ფაქტს, აგრეთვე 1989 წელს რუსების მიერ პროვოცირებული შეიარაღებული კონფლიქტის მანძილზე ცხინვალის რაიონში ორი ქართული სოფლის და ყოფ. ზნაურის რაიონში ყველა ქართული სოფლის (ავნევისა და ნულის გარდა) განადგურების ფაქტს, ისევე როგორც ოსების მიერ ქართველ მოქალაქეთა ცოცხლად დაწვის, ხერხით „დრუჟბა“ გადახერხვის, ქვაბში მოხარშვის, დაჩეხვის და მრავალი სხვა სახით წამების მრავალრიცხოვან ფაქტებს, რომლებიც დოკუმენტირებულია.

### მისიის რეკომენდაციათა ავტორების არაადექვატური პოლიტიკური აზროვნების მაგალითი (ერთი მრავალთაგანი)

მისია მსჯელობს „სამხრეთ ოსეთის“ ოსი მოსახლეობისათვის ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების საჭიროების შესახებ, მაგრამ არ თვლის საჭიროდ დააკონკრეტოს, რა განაპირობებს ავტონომიის ამ საჭიროებას. თუ მას განაპირობებს შინაგანი მართვის ეფექტიანობა, მაშინ ამ მიზნის მიღწევისათვის სავსებით საკმარისია რეალიზებული დემოკრატიული თვითმმართველობა ეფექტიანი საარჩევნო სისტემის პირობებში; თუ ამ საჭიროებას განაპირობებს მოქალაქეთა დაცვის საჭიროება დისკრიმინაციისაგან, მაშინ ამ მიზნისათვის საკმარისია საქართველოს ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის (ამ ზონაში) დემოკრატიულობის და ადამიანის უფლებათა დაცვისადმი ერთგულების ხარისხი, რის მიღწევაც არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან საქართველო ადამიანის უფლებათა დამცველი ყველა საერთაშორისო დოკუმენტის ხელმომწერი სახელმწიფოა; თუ ავტონომიის შექმნას მისია საჭიროდ თვლის იმის გამო, რომ მოწყობის ეს ფორმა ასახიერებს ერის (ეროვნული ჯგუფის) თვითგამორკვევის უფლებას, მაშინ მან უნდა განსაზღვროს ოსების ამ ინტერესის პრინციპული და პრაქტიკული მიმართება ამავე რეგიონის დანარჩენი, სახელდობრ, ქართველი მოსახლეობის, აგრეთვე მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ინტერესებთან და ყველა ამ ინტერესთა დაბალანსების ფორმა მოძებნოს. მისია მდუმარე წანამძღვრად იღებს იმას, რომ საქართველოს ერთი ნაწილის მოსახლეობას ტერიტორიული თვითგამორკვევის უფლება აქვს, რაც არანაირი სამართლებრივი და უფლებადაცვითი ნორმით არ დასტურდება. მისიის მცდელობა სეპარატისტების და მათდამი თავისი სიმპათიის გამართლებისა უნაყოფო მცდელობაა, ვინაიდან სეპარატისტული სურვილი — „სამხრეთ ოსეთის“ სეცესია (გამოყოფა) საქართველოსაგან და მისი შემდგომი შეერთება რუსეთთან — ცალსახა და ექსპლიციტური მოთხოვნაა როგორც 1918-20 წლების ოსი სეპარატისტებისა, ისე ახლანდელებისა. ხოლო თუ ავტონომიის შექმნის აუცილებლობა (გარდუვალობა) განპირობებულია არა ამა თუ იმ პოზიტიური მიზნით, არამედ მხოლოდ მიზეზით, სახელდობრ, ოსთა გამარჯვებით ქართველებზე და მათთვის თავისი ნების მოხვევით ამის შედეგად, მაშინ მისიას ჰმართებს, ჯერ ერთი, იმის ცოდნა, რომ ამ ტერიტორიის დღესდღეობით საქართველოს ფაქტობრივი იურისდიქციის გარეთ ყოფნა არ არის ოსების გამარჯვება ქართველებზე, არამედ რუსების გამარჯვებაა, რომელთა სამხედრო თანამყოფობის გარეშე (ვიმეორებთ) „სამხრეთ ოსეთს“ ისტორიაში არც ერთი საათი არ უარსებია და ვერც იარსებებს. მისიას ჰმართებს აგრეთვე იმის გათვალისწინება, რომ (ვიმეორებთ) პრეცედენტი — ტერიტორიის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა მასზე მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესთა დინამიკის მიმართულებისა და ტემპის მიხედვით — არის ყოველი ეთნიკური ჯგუფის შიშის წყარო ყველა დანარჩენის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე, მაშასადამე — ეთნიკური წმენდის სტიმულირება მთელ მსოფლიოში ევროპის ჩათვლით.

### II. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე ქვემორე ხელისმომწერ ორგანიზაციათა და პირთა პოზიცია

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი აზრი და სულისკვეთება ასახავს ქართველი ერისას საერთოდ, ვაცხადებთ:

**1. საქართველოში კიდევ ერთხელ „სამხრეთ ოსეთის“ შექმნა არის როგორც კანონის, ისე მსოფლიოში დღეს მოქმედი უფლებადაცვითი ნორმების წინააღმდეგ სვლა.**

**2. იგი არის საქართველოს სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ სვლა და, ამდენად, სახელმწიფოსა და ერის ღალატი**

**3. „სამხრეთ ოსეთი“ გაუქმდება დაუყოვნებლივ, როგორც კი საქართველოს სათავეში რეალური, ერის მიერ კორექტული არჩევნების შედეგად ხმამიცემული ხელისუფლება მოვა.**

### III. დამატება. კონფლიქტის მოგვარების პრინციპული გზა

კონფლიქტის დარეგულირების გზას პირველ ყოვლისა წაეყენება ის მოთხოვნა, რომ იგი იყოს სამართლიანი, ამავე დროს — რეალისტური, რაც შეკავებათა და ბალანსთა (cheks and balances) ადექვატური სისტემის გამოყენებასაც გულისხმობს. ეს გზა შედგება, ერთის მხრივ, დემოკრატიული თვითმმართველობის მექანიზმთა მაქსიმალური განვითარებისაგან, მეორეს მხრივ, ფუნქციური (და არა ტერიტორიული) ავტონომიისაგან საქართველოს მთელი ოსი მოსახლეობისათვის, ისევე როგორც ყველა დანარჩენისათვის ქართველების ჩათვლით (იხ. ლ.მატარაძე, ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტებისა და მისი დარეგულირების შესაძლებლობების შესახებ“, კრებული „Осетинский вопрос“, Тб. 1994. გვ. 322-330).

თქმული გულისხმობს, რომ:

— მაქსიმალურად ვითარდება ადგილობრივი თვითმმართველობა დემოკრატიული არჩევნების ბაზაზე, რაც უმრავლესობას იმის გარანტიას უქმნის, რომ იგი განახორციელებს თავის ყველა არაკანონსაწინააღმდეგო ინტერესებს ადგილობრივი კომპეტენციების შესაბამისად. ბუნებრივია, რომ იმ ადგილებში, სადაც ოსები უმრავლესობას წარმოადგენენ, გარანტირებული იქნება მათი პრევალირება ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციაში შემავალ საკითხთა გადაწყვეტაში. ამგვარად, ასეთ ადგილებში ოსების ნეგატიური დისკრიმინაცია (ანუ შევიწროება) ვერ მოხდება. არაოსური მოსახლეობის (ანუ უმცირესობის) უფლებები ამ ადგილებში დაცული იქნება კანონით დადგენილი სა-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მე-4 გვერდიდან

შუალებებით, სახელდობრ, იმავე საშუალებებით, რომლითაც დაცული იქნება ოსური თუ ყველა სხვა უმცირესობის უფლებები საქართველოს ყველა სხვა ადგილებში, სადაც ეს სხვანი უმრავლესობას არ წარმოადგენენ.

— ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლებამოსილებანი და მათი გამიჯვნა ხელისუფლების უფრო მაღალი ორგანოებისაგან, სახელმწიფო ორგანოების ჩათვლით, აგრეთვე მათი გამიჯვნა ქვემდგომი ორგანოებისაგან დგინდება კანონის მიერ მთელი სახელმწიფოსათვის ერთიანი წესით, იმ რეგიონთა ჩათვლით (აფხაზეთის გარდა), სადაც არაქართველი მოსახლეობაა.

— ფრონეს, ლიახვის, ლეხურასა და ქსნის ხეობათა ზედაწელების დარაიონება შეიძლება დაზუსტების პროცესში იყოს მანამდე, სანამ არ მოინახება ოპტიმალური ვარიანტი ანუ ისეთი, რომელიც მინიმალურს გახდის ეროვნებათშორის კონფლიქტს ყოფითი საკითხების გამო (თუმცა ეს გადასინჯვა სრულებითაც არაა აუცილებელი). ადგილობრივი მოსახლეობის (ამ შემთხვევაში — ოსურის) ის ინტერესები, რომელთა დაკმაყოფილება არაა ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობათა ფარგლებში (მაგალითად, საყოველთაო სწავლება ყველასათვის თავთავის დედაენაზე ანუ საამისოდ თანხების გაღება) უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ კანონის და სხვა არსებული ნორმების საფუძველზე.

— სასურველია, რომ უმცირესობათა უფლებები ადგილზე, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ, ერთი და იგივე იყოს ყველა იმ უმცირესობისათვის, რომელთა ეთნოსსაც (ეროვნებასაც) მოეპოვება თავისი ეთნიკური დასახლების ტერიტორიულ-პოლიტიკური სახელმწიფო წარმონაქმნი საქართველოს რესპუბლიკის გარეთ, რადგანაც უთანაბრობა ამ შემთხვევაში შეიძლება იწვევდეს უფლებათა გაფართოებით დაინტერესებას და, მაშასადამე, კონფლიქტებსაც. მაგრამ დასაშვებია, გარემოებებისა და სპეციფიკური ვითარებისდა მიხედვით, გარკვეული ასიმეტრიაც.

— ადგილობრივ დემოკრატიულ თვითმმართველობასთან ერთად ვითარდება ფუნქციური ავტონომია, რომლის ოპტიმალური ფორმაა *ოსური ეროვნული თემი ან სათვისტომო*, რომელიც, მათი სურვილის შემთხვევაში, მოიცავს საქართველოში მაცხოვრებელ ყველა ოსს. თემს შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკური, კულტურული და ყველა სახის ინიციატივათა უფლება, რომლებიც მიმართული იქნება ოსთა ეროვნული ვინაობის დაცვა-შენახვისაკენ, ქვეყანაში მათი გავლენის გაზრდისაკენ, ეკონომიკური კეთილდღეობის მომატებისაკენ, კულტურისა და განათლების განვითარებისაკენ და ნებისმიერი სხვა კანონიერი ეროვნულად მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევისაკენ. იგი შეიძლება იყოს მუდმივი ბაზა და ფონი, კანონის შესაბამისად, პოლიტიკურ მოძრაობათა შექმნისათვის, რომელთაც ოსებისათვის საინტერესო მიზნები და პროგრამები აქვთ. მას (თემს) შეუძლია, იმ პარტიათა გზით, რომელთაც მხარს დაუჭერს საქართველოს ოსი მოსახლეობა, და სხვა კანონიერი გზებით გავლენა მოახდინოს პარლამენტის არჩევნებზე და მიჰმართოს თვითორგანიზაციის ყველა სხვა არაკანონსაწინააღმდეგო გზებს სახელმწიფოს, როგორც მთლიანის, მასშტაბით. ამგვარად, ოსებს (ისევე, როგორც სხვა ეროვნულ უმცირესობებს) შეუძლიათ იქონიონ გავლენა ცენტრალურ პოლიტიკაზე თავისი რიცხვის პროპორციულად. გარდა ამისა, მათ, ისევე როგორც ყველა სხვა ეროვნულ ჯგუფებს (ქართველების ჩათვლით), შესაძლებლობა აქვთ, გავლენისა და კეთილდღეობის ყველა ფორმის მოპოვებას ეცადონ თავისი უნარის პროპორციულადაც.

ეროვნული ვინაობის გარანტირებული შენახვისა და დაცვისათვის — ანუ ისეთისათვის, რომელიც არ მოითხოვს აქტივობას შესაბამისი უმცირესობის წარმომადგენელთა მხრიდან — ოსებისათვის, ისევე როგორც საქართველოს და, ალბათ, მთელი მსოფლიოს ყველა სხვა დიასპორებისათვის, განსაკუთრებული პერსპექტიული და ნაყოფიერი, ალბათ, ეროვნული თვითორგანიზაციის სწორედ ეს მექანიზმი — ეს ცენტრალური მექანიზმი — აღმოჩნდება და არა მოცემული ეროვნების ადგილობრივი უმრავლესობების ორგანიზაცია ტერიტორიული ნიშნით. ასევე, ერთიანი ორგანიზაციის ფუნქციაა, მაგალითად, ოპტიმალურ კანდიდატთა მოძებნა პარლამენტში მონაწილეობისათვის, რაციონალურად დაბალანსებული განაცხადების მოძებნა განსაზღვრა კანონმდებლობისათვის, რაციონალურად დაბალანსებული განაცხადების შედგენა ბიუჯეტიდან ამა და ამ თანხების მიღებისათვის მოცემული ჯგუფის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ეროვნული კადრების მომზადება, დედაენაზე განათლების სისტემის დაგეგმვა და ლობირება და ა. შ.. ეთნიკური (ეროვნული) შეფერილობის კონფლიქტთა წარმოშობის შემთხვევაში ადგილებზე ეროვნული თვითორგანიზაციის ამ ცენტრალური მექანიზმის არსებობა გააადვილებს ზოგადმნიშვნელადი ანუ მთელი დიასპორის ინტერესთა შესაბამისი გადაწყვეტილებების პოვნას, რითაც გაადვილდება გალიზიანების, ჯავრის ყრის სურვილის და სხვა დესტრუქციული აფექტების ნეიტრალიზაცია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

საქართველოსათვის ეროვნებათშორისი ურთიერთობების რეგულირების ამგვარი მეთოდის მიზანშეწონილების სასარგებლოდ შეგვიძლია ორი გარემოება დავიმოწმოთ. პირველი: საქართველოში ეროვნული უმცირესობები ტრადიციულად (1801 წლამდე) განიხილებოდნენ, როგორც თვითრეგულირების საკუთარი მექანიზმის მქონე და საკუთარ ლიდერთა მყოლი ერთიანობები, და ეს ლიდერები თავისთავში ასახიერებდნენ მოცემული უმცირესობების უფლება-მოვალეობებს საერთოდ. მეორე: საქართველოში, ისევე როგორც კავკასიაში საერთოდ, ეროვნული ვინაობის შენახვას ტრადიციულად ერთ-ერთი უმაღლესი ადგილი უჭირავს ღირებულებათა შკალაზე და ამ მხრივ იგი არ ჩამოუვარდება ინდივიდის იმ უფლების ღირებულებას, რომ დაცულ იქნას დისკრიმინაციისაგან ეროვნული (ეთნიკური) ნიშნით.

მთლიანად საქართველოს ოსებისათვის თვითორგანიზაციის ზემოხსენებულ საერთო ფორმას შეიძლება ეწოდებოდეს „თემი“, „სათვისტომო“, „ცენტრი“, „კომიტეტი“, „საბჭო“, „ასოციაცია“ ან სხვა რამ სახელი და მისი შექმნისა და პერიოდული განახლების მექანიზმები შეიძლება მდგომარეობდეს რაღაც დემოკრატიულ პროცედურაში მის წევრთა შორის ან მასში შესვლის მსურველთა შორის არჩევნებით ან დემოკრატიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სხვა რამ გზით. ასევე, რაღაც მექანიზმი შეიძლება მოიძებნოს იმის განსასაზღვრავად, რა ფორმით მიიღებს ესა თუ ის უმცირესობა მონაწილეობას პარლამენტში მომავალი კონსტიტუციის შესაბამისად. ყველა შემთხვევაში ზემოხსენებულ ოსურ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ კანონით დაშვებულ ფარგლებსა და ფორმებში ეკონტაქტოს სამთავრობო, არასამთავრობო და ეროვნებათშორის ორგანიზაციებს საქართველოს გარეთ. უნდა მოიძებნოს მექანიზმი მისი მონაწილეობისათვის ოსებისათვის სპეციფიკურად მნიშვნელოვან ყველა სხვა პროცესებში მმართველობითი ან სათათბირო სტრუქტურების სახით.

საქართველოს ოსური მოსახლეობის მიერ ეროვნული თვითორგანიზაციისა და თვითრეგულირების ზემოხსენებული ფორმის ქონა რეალური განხორციელებაა ოსების მონაწილეობისა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, რეალური ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე.

### არაკონსტიტუციური (ანუ დროებითი, ერთჯერადი) მოწესრიგების მექანიზმი

If the Ossetians in Georgia obtain the aforementioned form of ethnic self-organisation and self-regulation, they will indeed participate in building the state. This will mean real integration without assimilation.

**The mechanism for non-constitutional (temporary, one-off) settlement**

The mechanism for the settlement of the current Georgian-Ossetian conflict, if considered isolated from the external factor, consists in attaching to the aforementioned Ossetian organisation (that embraces Ossetians throughout Georgia) the function of a side (or mediator) in negotiations at the scene. This structure may be located in Tskhinvali or elsewhere, it may have the right to display its own symbols, to access any kind of information, to establish bilateral contacts with North Ossetia's (i.e. real Ossetia's) authorities and people in Vladikavkaz (in order not to give rise to doubts that common Ossetian interests are not sacred for them), and it should participate in the resolution of issues like:

a) Retaining or revising the borders of districts;

b) Building roads in the conflict zone;

c) Making decisions on the expedience of creating advisory and governing structures embracing several districts;

d) Defining ways of ensuring order and staffing law enforcement bodies;

e) Defining forms of regulating the educational system and cultural life;

f) Making decisions on other forms of administrative regulation, as well as considering submitted applications.

**The best tactics for emerging from the current crisis and moving to a final (regulated) state**

Georgian authorities loyal to their own country can ensure that such a transition is carried out painlessly against the background of political and physical force, but without using it. The tactics (that will be supplemented by specific steps depending on the situation) is as follows:

1. The Georgian authorities officially declare that Russia is waging an aggressive war against Georgia and officially address appropriate international organisations, including the United Nations and courts. On this basis, they either withdraw Russian armed forces from the conflict zones (and from Georgia in general) or, if the Russians refer to the "protection" of their citizens as a pretext (although this pretext goes contrary to the international law), they qualify Russia's claims as illegal, making Russia's physical presence in the Tskhinvali region illegitimate with all the ensuing consequences (for example, Russia will be deprived of the right to open fire and so forth).

2. At the same organisations (including courts), Georgia protests against Russia's policy of granting Russian citizenship to Georgian citizens residing in the conflict zones and declares visa regime for Russian citizens (providing certain timeframes for them).

3. At the same time, the Georgian authorities publish and send out to all international organisations, as well as to all competent expert's a model for the final just settlement in the Tskhinvali region (in accordance with the aforementioned "integration without assimilation" principle and in the shape of functional autonomy) and declare their readiness to thankfully receive advice (but, of course, not instructions) from people and organisations with a knowledge of the issue. The same text is published in Georgian and Ossetian and is widely disseminated among the population with the same request (for advice).

4. Taking into account reasonable proposals (if any), the Georgian parliament defines a particular model for the Tskhinvali region and approves this model as a constitutional norm.

5. The Georgian authorities file an official criminal suit against those who have attempted to violate Georgia's territorial integrity by force, as well as against those who have committed crimes against individuals in the Tskhinvali region. The leaders of the armed separatist movement (including Kokoyty) are officially incriminated and are put on a wanted list. This means that those who are not on this list will automatically be excluded from the groups that should be subject to punishment, which will make it easier to reassure the population.

6. At the same time, stricter laws are passed against armed attempts to violate Georgia's territorial integrity, envisioning extreme penalty.

7. Police force is created that is able to both return the Georgian refugees to their homes and carry out operations to detain wanted criminals and control the Roki tunnel. Representatives of international organisations will be invited to supervise the operation.

8. A provisional administration is created. It will have broad powers in carrying out the operation.

It is obvious that the aforementioned steps imply the presence of force, which is not, however, the only factor. The presence of force will be minimized (but not eliminated completely) if a vast majority of people now residing in the Tskhinvali region are indirectly exempt from legal liability (see Paragraph 5 above);

- There will presumably be no armed resistance if sufficient force is concentrated and if Russia is legally neutralized. However, if resistance is nevertheless put up, Russia will be unable to participate in it directly (openly) and will have to act indirectly, i.e. by dispatching its armed citizens (Cossacks, "volunteers", and North Ossetians) across the border. Georgia should be ready to overcome this unofficial (and, hence, incomparably weaker) aggression.

| | |
|---|---|
| **Popular Front of Georgia** | **N. Natadze** |
| **International Public Movement "Caucasus Harmony"** | **G. Chkhaidze** |
| **Assembly of Georgian Historical Nobility Families and their Adherents.** | **I. Muchraneli** |
| **People's Party of Georgia** | **M. Giorgadze** |
| **„Freedom" Political Movement** | **K. Gamsakhurdia** |
| **Imedi - Veterans of Military Detachment „Imedi" Association** | **Colonel of Reserve D. KHOMASURIDZE** |
| **National-Christian Party** | **P. Nazarishvili** |
| **Chavchavadze Society** | **T. Chkheidze** |

### საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა ერთი ჯგუფის

# განცხადება

## რუსეთის ანტიქართული აგრესიის მიმდინარე ეტაპის გამო

1992 წლიდან, ანუ საქართველოში შევარდნაძის პრორუსული და შენიღბულად კომუნისტური ხელისუფლების აღდგენიდან, დღემდე საქართველოს მოქალაქეები მოწმეები ვართ ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის ადმინისტრაციის მიზანმიმართული, თანმიმდევრულად ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებისა საქართველოს ტერიტორიის ნაწილებზე, სახელდობრ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონზე რუსეთის „მცოცავი" ანექსიის განხორციელების მიმართულებით. სახელდობრ

– ყოველგვარი სამხედრო, პოლიტიკური და, მით უმეტეს, იურიდიული აუცილებლობის გარეშე, ყოველგვარი ნორმების საწინააღმდეგოდ, რუსეთის მონაწილეობით დადებულია შეთანხმება რუსეთის მიერვე ხელოვნურად ორგანიზებული შეიარაღებული კონფლიქტის, თითქოსდა ქართულ-ოსური ეთნიკური კონფლიქტის, ფაქტობრივი გაყინვის შესახებ, რასაც ახლავს რუსეთისთვის „სამშვიდობო" ფუნქციის დაკისრება და რუსეთის, როგორც მხარის, აღჭურვა გარკვეული უფლებებით „ოთხმხრივი" კომისიის შემადგელობაში.

– შევარდნაძისა და არძინბას ხელისუფლებათა მიერ რუსეთის დავალებისა და გეგმის შესაბამისად დაწყებულია ისევ და ისევ „ეთნიკურ კონფლიქტად", „ქართულ-აფხაზურ ომად" წოდებული ომი აფხაზეთში და ეს „ომი" საქართველოს მიერ წაგებულია მთავარსარდალ შევარდნაძისა და რუსეთის, როგორც ამ ომის ფაქტობრივი მწარმოებლის, ერთობლივი შეთანხმებული მოქმედებების შედეგად.

აფხაზეთშიც, ისევე როგორც ცხინვალის რეგიონში, „სამშვიდობო" ფუნქციით ჩაყენებულნი არიან რუსეთის შეიარაღებული ძალები და საქართველოს ხელისუფლების მიერ ხელმოწერილია შეთანხმებები, რომელთა ძალითაც საქართველოს სახელმწიფოს აკრძალული აქვს ყველა იმ მოქმედების ჩატარება, რასაც, მსოფლიოში მოქმედი ყველა ნორმის მიხედვით, მოითხოვს წესრიგის დამყარების, მასობრივი მკვლელობების არდაშვების, ლტოლვილთა და დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნების ამოცანა.

– საქართველოს ხელისუფლების მიერ მსოფლიოსგან დამალულია, რომ ხსენებული შეიარაღებული მოქმედებები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის აგრესიული ომია საქართველოს წინააღმდეგ, რომ იგი წარმოებს ტერიტორიაზე, რომელიც მთლიანად ქართველი ერის ეთნიკური და ისტორიული ტერიტორიაა.

– საქართველოს ხელისუფლების მიერ არაა გაცხადებული ის, რომ ხსენებული შეიარაღებული კონფლიქტების შეწყვეტა და დარეგულირება, პრინციპულად, საქართველოს საშინაო პრობლემაა, რომელიც ინტერნაციონალიზაციას, ანუ სამსჯელოდ გატანას საერთაშორისო არენაზე, და საერთაშორისო მონიტორინგს, ექვემდებარება მხოლოდ ორ ასპექტში – **როგორც რუსეთის აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ და როგორც ისეთი პროცესი, რომელიც, დღეს მოქმედი კონვენციების ძალით, მსოფლიო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს ადამიანის უფლებების, მათ შორის, – უმცირესობათა უფლებების დაცვისა და სამხედრო მოქმედებების ნორმათა დაცვის თვალსაზრისით.** ამის გაცხადების ნაცვლად საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო მოლაპარაკებების საგნად ხდის საქართველოს სახელმწიფო მოწყობას და ამ მოლაპარაკებათა მსვლელობაში მონაწილეობის უფლებას აძლევს კონფლიქტის ინიციატორსა და მთავარ ორგანიზატორს – რუსეთს.

ჩამოთვლილი ფორმები რუსეთის ორგანიზატორული და ინიციატორული როლისა ხსენებულ კონფლიქტებში მხოლოდ ძირითადებია, და არა ერთადერთი. მიუხედავად რუსეთის აღნიშნული აგრესიული ძალმომრეობისა საქართველოს წინააღმდეგ, საერთაშორისო საზოგადოებრიობა დუმს, თუ არ ჩავთვლით ეუთოს ლისაბონის სამიტის ფორმულირებას, რომ აფხაზეთში ჩატარებულია ქართველების ეთნიკური წმენდა, და ვერ აკეთებს ან არ აკეთებს რუსეთის აგრესიული ქმედების ფაქტებიდან დასკვნას, რომ რუსეთი, როგორც აგრესორი, არ შეიძლება აღჭურვილი იყოს მემშვიდობის მანდატით თავისი დანაშაულის ადგილას.

დღეს სააკაშვილის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების გამოყენებით რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ თამაშდება ორი, ურთიერთპარალელური და ერთი მიზნისკენ მიმართული სცენარი. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ყოველდღიურად ესკალირებადი პოლიტიკური, იურიდიული და სამხედრო პროვოკაციები საქართველოს წინააღმდეგ ქმნის პანიკურ ფსიქოლოგიურ ფონს, რომელმაც სააკაშვილს საშუალება უნდა მისცეს საქართველოს სახელმწიფოს სახელით მოახდინოს იურიდიული დათმობები (კაპიტულაციები) რუსეთის წინაშე, რითაც რუსეთს მიენიჭება შეუქცევადი იურიდიული უფლებამოსილებები საქართველოს ტერიტორიის ზემოხსენებულ ნაწილებში სამოქმედოდ და, შესაბამისად, შეიკვეცება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია. სააკაშვილის უკვე დიდი ხნის წინ გამოცხადებული მზაობა, რომ საქართველოში კიდევ ერთხელ შექმნას „სამხრეთ ოსეთი", – ეს ტერმინოლოგიური და პოლიტიკური ფიქცია, რომელიც ოკუპანტებმა მოიაზრეს ჯერ იმპერატორების, შემდეგ კი კომუნისტების დროს – ანუ საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილად ცნოს, და მისივე არაპირდაპირი თანხმობა, რომ აფხაზეთის ყოფნა საქართველოს სახელმწიფოში განსაზღვროს, როგორც „სახელშეკრულებო", მაშასადამე – დარღვევადი კავშირი, და ამით შექმნას საქართველოსგან „აფხაზეთის სეცესიის იურიდიული მექანიზმი, მკაფიოდ მოწობს, რომ სააკაშვილი ამ სცენარის ერთერთი მონაწილეა. მეორე სცენარი მდგომარეობს იმაში, რომ დაწყებულ იქნას აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ომი ისეთ დროს, როცა იქ რუსეთის ჯარები იმყოფებიან სამშვიდობო მანდატით, ანუ ცეცხლის გახსნისა და იარაღის ყველა სახის გამოყენების უფლებით, და, შესაბამისად, საქართველომ ამ ომში გამანადგურებელი დამარცხება განიცადოს, რის ფონზეც, რუსეთისთვის უკეთეს შემთხვევაში, რუსეთის შეიარაღებული ძალები საქართველოს სხვა სტრატეგიულ წერტილებსაც დაიკავებენ და ამის შედეგად დიდი ხნით აღკვეთენ დასავლეთის მოძრაობას ცენტრალური აზიისკენ. სააკაშვილი და მისი ადმინისტრაცია რომ ამ მეორე სცენარის შეგნებული მონაწილენიც არიან, იქიდანაც ჩანს, რომ რუსეთისაგან საქართველოს დაცვისადმი მიძღვნილი რიტორიკის ფონზე სააკაშვილი არ დგამს ნაბიჯებს, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ამ დაცვისათვის, სახელდობრ,

– არ გამოჰყავს საქართველო „დსთ"-ს შემადგენლობიდან (რასაც სჭირდება მხოლოდ პარლამენტის ვოტუმი 1994 წლის 1 მარტის უკანონოდ მიღებული დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ, რომლითაც საქართველო დსთ-ს წევრი გახდა).

– არ აუქმებს რუსეთის ყველა მანდატს საქართველოში და არ გაჰყავს რუსეთის ყველა შეიარაღებული ძალა საქართველოდან).

– არ აცხადებს ოფიციალურად, რომ რუსეთი აწარმოებს აგრესიულ ომს საქართველოს წინააღმდეგ, და არ მიჰმართავს სათანადო ფორმით გაეროსა და სასამართლოს,

– არ აუქმებს უკანონო წესით (ძირითადად, კორუფციის მონაწილეობით) განხორციელებულ რუსეთის ფირმებისთვის საქართველოს სათავდაცვო და ეკონომიკურად სტრატეგიული ობიექტების მიყიდვის აქტებს (პირიქით, აგრძელებს ამ პროცესს),

– არ ქმნის საკმარის შეიარაღებულ ძალას, რომელსაც შეუძლია რუსეთის არაოფიციალური შემოტევის (ანუ იურიდიულად განიარაღებული რუსეთის შემოტევის მოგერიება,

– არ ქმნის (პირიქით, ანგრევს) საქართველოში სათავდაცვო წარმოების იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია ომის წარმოებისათვის რაგინდარა დიდი უცხო დახმარების პირობებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენი სახელით და ქართველი ერის სახელით განვაცხადოთ შემდეგი:

1. რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ არის აგრესიული. ჩვენ მას არ დავუთმობთ. ყველა კაპიტულანტური შეთანხმება, რომელსაც მოახდენს საქართველოს დღევანდელი მარიონეტული უზურპატორული ხელისუფლება, გაუქმებული იქნება.

2. არც ცხინვალის რეგიონში, სადაც ცხოვრობს 60 ათასი ოსი 30 ათას ქართველთან, ამ ტერიტორიის ავტოხთონ მოსახლეობასთან ერთად, არც სადმე დანარჩენ საქართველოში, სადაც განსახლებულია კიდევ 100 ათასი სხვა ოსი, ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის სახელით „ოსეთი" შექმნა არ დაიშვება, ხოლო თუ ასეთი შეიქმნება დღევანდელი უზურპატორი ხელისუფლების მიერ, იგი გაუქმდება.

3. აფხეზეთის მთელი ტერიტორია საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ანუ იგი არ ყოფილა საქართველოს შემადგენლობის გარეთ ისტორიის არც ერთ ეტაპზე. მეცნიერებისთვის ცნობილია, რომ აფსუა ხალხი, ადიღეური მოდგმისა, რომელიც კავკასიონის ქედის ჩრდილოეთი ფერდობებიდან გადმოსახლდა „აფხაზეთად" წოდებულ ქართულ პროვინციაში (ძირითადად, XVII-XVIII საუკუნეებში), „აფხაზებად" იწოდება ქართველების მიერ და, ქართული ტერმინის განმეორებით, სხვათა მიერაც ამის გამო (და არა, პირიქით, „აფხაზეთს" „აფხაზეთი" ჰქვია იმიტომ, რომ იგი „აფხაზებად" წოდებული აფსუა ხალხის ქვეყანაა, როგორც რუსული პროპაგანდა რაცხს). მესაქონლე აფსუა მოსახლეობის თანდათანობითი შემოსვლა და საქართველოში დამკვიდრება ისეთ ეპოქაში, როცა დასავლეთ საქართველოს ციხეები თურქებს ეკავათ და სახელმწიფოებრიობის მექანიზმები დიდწილად მოშლილი იყო, უმრავლეს შემთხვევაში მშვიდობიანი არ იყო, ამიტომ აფსუა ხალხის მეხსიერებაში ეს პროცესი აღქმულია, როგორც დაპყრობა, რითაც ბუნებრივია და გასაგებია მისი გულწრფელი აზრი, რომ ეს ტერიტორია მისია. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ აფსუა მოსახლეობის შემოსვლას და დამკვიდრებას ამ ტერიტორიაზე არასდროს მიუღწევია იმ ნიშნულამდე, რომ ეს მიწაწყალი საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურად ან ადმინისტრაციულად მოსწყდო-

მოდა, უნდა დავასკვნათ, რომ აფსუა მოსახლეობის სულისკვეთებას, ეს ტერიტორია განიხილოს, როგორც თავისი, და საკუთარი თავი განიხილოს, როგორც ამ ტერიტორიის მკვიდრი ერის უფლებათა მქონე, თუმცა ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს, მაგრამ უფლება, რომ მოითხოვოს ამ ტერიტორიის საქართველოსგან გამოყოფა, არა აქვს, ისევე, როგორც არა აქვს საფუძველი რაიმე პრეტენზიისათვის აფხაზეთის, როგორც მთელის, იმ ნაწილების მიმართ, რომლებშიც ავტოხთონური ქართველი მოსახლეობა ყოველთვის ცხოვრობდა და ახლაც ცხოვრობს (ასეთია გალი, კოდორი და მრავალი სხვა). თქმულიდან გამომდინარეობს, რომ სამართლიანი და პერსპექტიული დარეგულირება ქართველი და აფსუა მოსახლეობის ყოველმხრივი, მათ შორის ეროვნული ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაცვისა იქნება ის, რომლის თანახმადაც აფხაზეთის, როგორც მთელის, ყოფნა საქართველოს შემადგენლობაში კითხვის ქვეშ ვერ დადგება, მაგრამ, ასევე, ვერ დადგება კითხვის ქვეშ აფსუა მოსახლეობის უფლებაც, რომ იქ, სადაც იგი ცხოვრობს (იგულისხმება: კომპაქტურად ცხოვრობს), თავისი სრული შეუვალობა ჰქონდეს საკუთარი ეროვნული ვინაობის (იდენტობის) დასაცავად და განსავითარებლად, თავისი დემოგრაფიული ხელშეუხებლობის დასაცავად, თავისი ცხოვრების წესის (ანუ თავისი კანონმდებლობის სპეციფიკის) დასაცავად და ა.შ., ისევე, როგორც საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, უფლება ჰქონდეს თავისი ანალოგიური უფლებების დაცვისა უცხოელებთან მიმართებაში. რუსული პროპაგანდა, თითქოს ქართველი ნაციონალისტების სულისკვეთება აფხაზი (აფსუა) ერის იდენტობას ემუქრება, სიცრუეა. ქართველი პატრიოტებისათვის (ანუ ქართველი ერის უმრავლესობისათვის) მიუღებელია მხოლოდ ერთი: აფსუა (აფხაზი) ერისათვის გადაწყვეტილების უფლების მონოპოლიზება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ავტოხთონური ქართველი მოსახლეობის ნების უგულვებელყოფით.

ეს ის პრინციპები გახლავთ, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ერი აფხაზეთის მიწაწყალზე არ დათმობს არც ახლა, არც მომავალში. საქართველოს ამა თუ იმ ხელისუფლისა და ხელისუფლების მიერ ამ პრინციპებიდან გადახვევის მცდელობა, სათანადო აქტების სახით, ექვემდებარება გაბათილებას საქართველოს ნებისმიერი არამარიონეტული, მაშასადამე — ეროვნულად ერთგული მომავალი ხელისუფლების მიერ.

პუტინის დღევანდელი ალვირახსნილი შემოტევა საქართველოს წინააღმდეგ მოკლებულია არა მხოლოდ სამართლიანობას, არამედ ლოგიკასაც: სახელდობრ, იგი აცხადებს პრინციპულ მზაობას, საქართველოს მიმართ განახორციელოს იმის ანალოგიური ნაბიჯი, რომლის განხორციელებასაც სერბეთის მიმართ იგი ამერიკელებს და მათი პოლიტიკის მიმყოლ ევროპულ სახელმწიფოებს მორალისა და საერთაშორისო სამართლის დარღვევად უთვლის. მაშასადამე, იგი თავის პოლიტიკაში აპირებს იხელმძღვანელოს არა სამართლისა და მსოფლიო წესრიგის წინაშე პასუხისმგებლობის მოტივებით, არამედ შურისძიების მოტივით, ისიც — შურისძიებისა არა იმ სუპერძალაზე, რომელსაც ბრალეულად რაცხს, არამედ მცირე მეზობელ სახელმწიფოსა და ერზე, რომელსაც სერბეთის პრობლემებთან არავითარი შეხება არა აქვს.

**საქართველოს სახალხო ფრონტი, ნ. ნათაძე**
**საქართველოს სახალხო პარტია, მ. გიორგაძე**
22. IV. 2008

# ღია წერილი

## საქართველოს პრეზიდენტს
## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
## საქართველოს პრემიერ მინისტრს
## საქართველოს ეკონომიკის მინისტრს
## საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს

მიუხედავად იმისა, რომ, ჩვენი თვალით ვიხილეთ 2008 წლის 8 მაისს მთავრობის სახლის წინ მიმდინარე აქცია მაღალმთიანი აჭარის სოფელი ღორჯომის საკრებულოს მცხოვრებთა წარმომადგენლობითი ჯგუფისა, რომლებიც სამი დღის მანძილზე ავდარში, მშიერები (და ეს უკვე მათი მესამე აქცია ყოფილა) ხელისუფალთაგან ითხოვენ მხოლოდ და მხოლოდ მიწას, წინაპართა სისხლით შენარჩუნებულ მიწას, („მოგვეცით მიწა და მიწაზე შრომის შესაძლებლობა, არ გვინდა თქვენი შემწეობა“), — მაინც არ გვინდა გვჯეროდეს, რომ ხელისუფლება სრულებით გულგრილია მოქალაქეებისა და ქვეყნის გაჭირვების მიმართ, რომ ხელისუფალთა მხრიდან, მავანთა ხელით, თხუთმეტიოდე წელიწადში ხელოვნურად გალატაკებული მოსახლეობა, უმიწაწყლოდ დარჩენილი ქართველი გლეხი დღეს სიღარიბის დაძლევისთვის ითხოვს მიწას, რათა თავისი დაკოჟრილი ხელებით ღირსეული შრომით გამოკვებოს ოჯახი და წინაპართა ფუძეც და საფლავებიც შეუნარჩუნოს მომავალ თაობას. მისი „არჩეული“ ხელისუფლება კი, თავისი თავმოწონების ფონზე, რატომღაც მიწას არ აძლევს, ხოლო იმავდროულად მიწას ხელაღებით ყიდის უცხო ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეებზე, თანაც, არჩევითობის პრინციპით „სად უკეთესი ადგილია“. ვფიქრობთ, რომ არამც თუ დაუჯერებელი, არამედ შემზარავია ეს ხდებოდეს XXI საუკუნის ცივილიზებულ მსოფლიოში.

გთხოვთ, მიეცით ქართველ გლეხს მიწაც და შრომის შესაძლებლობაც. სულ მოკლე დროში გიჩვენებთ ის, როგორ უნდა ამ უნიკალური ბუნებრივი სიმდიდრის ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა ყოველგვარი მრავალმილიონიანი „სიღარიბის დაძლევის პროგრამების“ დამუშავებისა და კრედიტების აღების გარეშე.

ამასთანავე, გთხოვთ შეისწავლოთ მაღალმთიანი აჭარის სოფელი „ღორჯომის“ საკრებულოს მცხოვრებთა გასაჭირი და, ქვეყნის და ერის ინტერესებიდან გამომდინარე, დააკმაყოფილოთ მათი ღირსეული და სამართლიანი მოხოვნა, დაიცვათ საკუთარ სამშობლოში ქართველი გლეხის და თითოეული მოქალაქის უფლება, საკუთარ მიწაზე შრომისა და ღირსეული ცხოვრების ადამიანური უფლება.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს სოფლების აღორძინების ფონდი მზად არის (თქვენი სურვილის შემთხვევაში) ითანამშრომლოს შესაბამის სამსახურებთან პრობლემების ადგილზე შესწავლის და უმოკლეს დროში გადაწყვეტის მიზნით.

საქართველოს სოფლების აღორძინების ფონდის თავმჯდომარე
**ელენე კახნიაშვილი**
10/VI.2008

# საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტყეშელაშვილს განათლების ეროვნული კავშირის გამგეობის მიმართვა

ქალბატონო მინისტრო, ჩვენმა კავშირმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტს შემდეგი საზოგადოებრივი ინიციატივით:

ა) გაუქმდეს 1992 წლის 24 ივნისს ბ.ნ. ელცინისა და ე.ა. შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ და შესაბამისად ცხინვალის რეგიონიდან (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) გაყვანილ იქნას რუსული სამშვიდობო კონტიგენტი.

ბ) გაუქმდეს 1994 წლის 14 მაისს ჯ.იოსელიანისა და ს. ჯინჯოლიას მიერ ხელმოწერილი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ და გამოთხოვილ იქნეს საქართველოს მიერ 1994 წლის 16 მაისის თხოვნა კონფლიქტის ზონაში დსთ-ს წევრ სახელმწიფოთა კოლექტიური სამშვიდობო ძალების განლაგებაზე, აგრეთვე მიემართოს დსთ-ს წევრ სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს, რათა გაუქმდეს აღნიშნული საბჭოს 1994 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ.

განათლების ეროვნული კავშირი მზად არის ჩაერთოს აღნიშნული კონფლიქტების მოგვარების მიზნით სახალხო დიპლომატიის წესით გამართულ ყველა ღონისძიებაში. გვაქვს სათანადო კონცეფციაც და მზად ვართ შევხვდეთ თქვენი სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენლებს, ჩვენი კავშირის პოზიციისა და არგუმენტების გასაცნობად.

გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი ოფიციალური პასუხი.

პატივისცემით,

განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარე
**გიორგი ამაშუკელი**

# საქართველოს სახალხო დამცველს ბატონ სოზარ სუბარს განათლების ეროვნული კავშირის გამგეობის მიმართვა

ბატონო სოზარ, ჩვენს ქვეყანაში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მომხრეებისა და რესპუბლიკის კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ქომაგ სამოქალაქო აქტივისტების მიმართ განხორციელდა პოლიტიკური ტერორი და რეპრესიები, სოციალური დისკრიმინაციის პოლიტიკა, მათ მიმართ ხდებოდა თავისუფლების აღკვეთა, უსანქციო დაკავებები და დაპატიმრებები. ხშირად ეს კეთდებოდა უფლებამოსილების არმქონე ორგანიზაციების მიერ, სახლები და ბინები იჩხრიკებოდა სანქციის გარეშე. ხდებოდა არაჰუმანური და სასტიკი მოპყრობა, წამება, ხშირად დასჯა კოლექტიურ ხასიათს ატარებდა, სასამართლოს წინაშე წარდგენა ხდებოდა განსჯადობის ვადის დარღვევით, ართმევდნენ და უნადგურებდნენ კერძო საკუთრებას, უზიანებდნენ ჯანმრთელობას, ახდენდნენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ იძულებებს, ხელყოფდნენ სიტყვის, აზრის, სინდისის თავისუფლების ხელშეუხებელ უფლებას, ხორციელდებოდა უკანონო თვალთვალი და სატელეფონო საუბრების მოსმენა, უზღუდავდნენ შრომის თავისუფლებას, უკანონოდ ათავისუფლებდნენ სამუშაო ადგილებიდან, ართმევდნენ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ თანასწორობის პირობებში ცხოვრების უფლებას.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ პოლიტიკური შეფასება მისცა და უწოდა სამხედრო გადატრიალება, ხოლო საქართველოს პარლამენტმა სამართლებრივი შეფასებით დაგმო იგი, როგორც ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

ამ პოლიტიკური და სამართლებრივი ვითარების გათვალისწინებით, განათლების ეროვნული კავშირი სამართლიანად მიიჩნევს მომზადდეს „საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწფიო გადატრიალების შედეგად პოლიტიკური ტერორის მსხვერპლთა და პოლიტიკურ რეპრესირებულთა მორალური, სოციალური და მატერიალური კომპენსაციის შესახებ“ კანონ-პროექტი.

ვითვალისწინებთ რა თქვენს პირად სამართლებრივ კულტურას, ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სამოქალაქო სექტორის, საზოგადოებრიობისა და ჩვენი კავშირის თანამონაწილეობით, ერთობლივად მოამზადებს ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის განხორციელებისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობის პროექტს და ხელს შეუწყობს ახლად არჩეულ პარლამენტში მის მიღებას.

გულისხმიერი პასუხის იმედით

პატივისცემით

განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარე **გიორგი ამაშუკელი**

# კაცობრიობის მომავალია სახელმწიფო მოდელთა კონკურენცია

თანამედროვე ადამიანმა იცის, რომ მარქსისტული ფორმულა „ისტორია არის კლასთა ბრძოლა“ დიდწილად ყალბია. ისტორია, პირველ ყოვლისა, არის ერთა ურთიერთობა: ბრძოლა, თანამშრომლობა, ურთიერთისაგან სწავლა და ურთიერთგამდიდრება. კლასობრივი ინტერესი მატერიალურია, ანუ შედარებით წვრილმანია, ეროვნული ინტერესები კი მატერიალურიცაა (მიწა, თავდაცვა, ეკონომიკა და ა.შ.) და მარადიულიც, ზედროულიც. სახელმწიფო არის ერის თვითორგანიზაციის უმაღლესი ფორმა. **კაცობრიობის პოლიტიკური და ისტორიული განვითარების პერსპექტივა უახლოესი საუკუნეებისათვის არის არა მხოლოდ სახელმწიფოთა და ერთა, არამედ სახელმწიფოებრიობის თვით მოდელთა კონკურენცია.** ამ მარტივი ჭეშმარიტების გათვალისწინება გრძელვადიანი გლობალური პროგნოზის ანბანია. ერებს სხვადასხვა აქვთ გენეტიკა, ტრადიცია, გეოგრაფიული განლაგება, სტაბილური სტრატეგიული კონტექსტი და ბუნებრივი პირობები. ამიტომ ყოველი მათგანი ეძებს სახელმწიფოს ისეთ მოდელს, რომელიც ყველაზე უკეთ მოახდენს მისი შესაძლებლობების მობილიზებას და რეალიზებას. ამ ძებნის პროცესში შეუძლებელია, ერებმა ერთმანეთისაგან არ ისწავლონ. მაგრამ მიზანი – ოპტიმალური მოდელის შექმნა – მაინც ორიენტირებულია საკუთარი პრობლემების გადაჭრაზე და არა წარმოსახვითი ერთიანი მსოფლიო სტანდარტებისათვის საკუთარი ცხოვრების („დამურას“ კომპლექსი) მორგებაზე. საპირისპირო ტენდენცია (ვუწოდოთ მას პირობითად „კაბალისტიკური“), პირიქით, ორიენტირებულია ადამიანებში მათი ზემოხსენებული შედარებით წვრილმანი ინტერესების გახარებაზე და მათშივე ესენციური (არსობრივი), მათ შორის – ეროვნული ინტერესების წაშლაზე, რადგან იგი კონკრეტული ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაუძინებელი მოწინააღმდეგეა.

საქართველოს ჰქონდა სახელმწიფოებრიობის ძალიან მაღალი კულტურა და ტრადიცია, რომელიც მოიცავდა ერის უდიდეს განძს – დაუწერელ ზნეობრივ იერარქიას. სახელმწიფოებრიობის ამ მოდელმა თავისი ქმედითობა ისტორიულად დაამტკიცა იმით, რომ აღმატებულ ძალთა ყველაზე მრავალი ტიპის შემოტევა აიტანა და მოინელა მანამდე, სანამ მზარდი სუპერძალა, რუსეთი მის ანექსიას მოახდენდა. არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური საზომი სახელმწიფო მოდელის ხარისხის განსაზღვრისა მანამდე, სანამ ნახევარსაუკუნიანი ან მრავალსაუკუნიანი ისტორიული „ექსპერიმენტი“ თვითონ გაარკვევდეს, ბუნებრივი გზით, -თუ რომელი მოდელი აღმოჩნდება გამარჯვებული და რომელი – დამარცხებული? დიახ, არსებობს. ეს საზომი გახლავთ ის, თუ ზოგადადამიანურ ძირეულ ინტერესთა რომელ შრეს ითვალისწინებს მოცემული მოდელი. „ქვედა“ შრეებს, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს ყველა, ვინც ერთგულია (თავისი მოქალაქეების დამშევა არავის უნდა), მაგრამ რამდენად ითვალისწინებს იგი „ზედა“ შრეებს, ანუ იმას, თუ რამდენად შეუძლია მოცემულ სახელმწიფოებრივ მოდელს მოქალაქის სტიმულირება ან იძულება, რომ მოქმედებდეს სახელმწიფო ინტერესთა დონეზე, და არა მხოლოდ კუჭისაზე და ჯიბისაზე? ამ მხრივ, როგორც უკვე ვთქვით ზემოთ, ქართულმა სახელმწიფო აზრმა და შეგნებამ თავისი მაღალი ხარისხი საუკუნეთა მანძილზე დაამტკიცა. საზოგადოებამაც, შესაბამისად, შეიმუშავა ჯანსაღი სულისკვეთება და ქმედუნარიანობა, რომელიც დამყარებული იყო ანსამბლურობაზე – ფართო ავტონომიის მქონე ინდივიდთა შეგნებულად აწყობილ ერთობლივ მოქმედებაზე – და არა ჯოგურ კოლექტივიზმზე ან, პირიქით, ეგოიზმზე (ამის შესახებ იხ. გ. ნათაძე, „ყოვლის საფუძველი – ლოგიკის კანონები“, თბ. 2008).

რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს მოხდეს დღესაც, ანუ შეიქმნას სახელმწიფოს ოპტიმალური მოდელი რესპუბლიკის აბსოლუტურად კორექტული კონსტიტუციური ფორმით? ამას სჭირდება კეთილი ნება და ცოდნა. ვერც კეთილი ნების არმქონე, ვერც პოლიტიკურად უანბანო ადამიანები ამას ვერ გააკეთებენ, საქართველო კი დღეს უანბანოა თავისი პოლიტიკური ელიტის სახით. ამ სამწუხარო გარემოების საილუსტრაციოდ ორიოდე მაგალითს მოვიყვან.

**რესპუბლიკა** (ლათ. res publica – საჯარო საქმე) გულისხმობს ქვეყნის მართვას ხალხის მიერ. ამ ტერმინის სალექსიკონო განსაზღვრებაში შედის ის, რომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ან აირჩევიან, ან არჩეულთა მიერ ფორმირდებიან (БСЕ). იგი ანტიპოდია მონარქიისა (ბროკჰაუზის ენც. 1972). იგი ემსახურება არა გაბატონებულთა კერძო ინტერესს, არამედ ხალხისას (იქვე). თანამედროვე რესპუბლიკის ნიშანია ხელისუფლების სამი შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) მკაცრი გაყოფა. ქართული პოლიტიკა დიდი ხანია უგულებელყოფს აზრისა და პრაქტიკის ამ ძირეულ მონაპოვრებს. ჟორდანიას სახელმწიფოს ერქვა „დემოკრატიული რესპუბლიკა“. სინამდვილეში იგი დემოკრატიული კი იყო, მაგრამ რესპუბლიკა ვერ იყო: თვით ჟორდანია არჩეული იყო საკანონმდებლო სტრუქტურის თავმჯდომარედ, მაგრამ ეწეოდა ძალაუფლების უზურპაციას, ანუ თავზე იღებდა აღმასრულებელ ფუნქციებსაც. როგორც ყველა უზურპატორი, იგი ობიექტურად ქვეყნის მტერი გახდა, ჩაიდინა სახელმწიფო ღალატი: არ გამოაცხადა მობილიზაცია, რადგან თავისი პატრიოტულად განწყობილი ჯარისა უფრო ეშინოდა, ვიდრე რუსეთის მე-11 არმიის.

იგივე ხდება დღეს, ვინაიდან არც ერების თვისებები იცვლება, არც პოლიტიკის კანონები. პარლამენტი ითვისებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. იგი ყოველდღიურად ცვლის კანონებს კონკრეტული ამოცანების შესაბამისად, ზოგჯერ – მაფიურისაც. ერთპიროვნული პარტიული დიქტატურაც ეწინააღმდეგება „რესპუბლიკის“ ცნებას.

**პარტია** (ლათ. სიტყვისგან პარს – ნაწილი) არის „ჯგუფი ერთი და იგივე სულისკვეთების მქონეებისა, განსაკუთრებით – სახელმწიფოებრივი ცხოვრების სფეროში“ (ბროკჰაუზის ენც. 1972). პოლიტიკური პარტიები არიან „იმგვარი გაერთიანებები, რომელთა წევრები და მხარდამჭერები ცდილობენ ერთობლივი ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფო წყობაზე და სახელმწიფო ნების ჩამოყალიბებაზე“ (იქვე). დღეს საქართველოში ერთი პარტია ერთპიროვნულად მართავს ისე, რომ პროგრამა არა აქვს, ანუ ხალხს თავის მიზნებს არ უმხელს და მას ასეთივე უპროგრამო პარტიები ეცილებიან. ანუ მმართველ პარტიას აერთიანებს პირადი ერთგულების პრინციპი და არა პროგრამისა და მიზნების ერთობისა. მისი ერთობლივი სულისკვეთება ეხება არა სახელმწიფო კურსის განსაზღვრის თემას, არამედ სახელმწიფოს ხარჯზე საკუთარი მიზნების განხორციელებისას. თუ „პარტიას“ ანუ ნაწილს არა აქვს ზე-პირადი (პირადზე უფრო მაღლა მდგომი) იდეა და მიზანი, მაშინ მისი პირადი შემოსაზღვრულობა დამანგრეველი ძალა ხდება. ზე-პირადი იდეა აუცილებლად გულისხმობს კონსტიტუციის რეალურ დომინანტობას, როგორც სახელმწიფოს თანმიმდევარი პოლიტიკის განხორციელების აუცილებელ ფორმას.

**სახელმწიფო** არის „ძალაუფლების იმგვარი წყობა, რომელიც აერთიანებს ხალს (და არა შემთხვევით შემოკრებილ პირებს. გ.ნ.) და რომელიც შეკავშირებულია თავისი უზენაესი ხელისუფლების ხელქვეით, რათა დაიცვას ერთობლივი ქონება და ღირებულებები“ (ბროკჰაუზის ენც. 1972). სახელმწიფოს თემა დღეს საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია და მასზე მსჯელობა ფილოსოფიურ ასპექტსაც მოიცავს. უნივერსალური კანონია, რომ ქმედება იდეის მიმართ, ამ შემთხვევაში – ერის ინტერესების მიმართ (და არა საკუთარი კუჭის მიმართ), განსაზღვრავს პიროვნების და ქვეყნის ბედისწერას: მოქალაქეს აქვს საკუთარი ინტერესები, მაგრამ აქვს სახელმწიფო ინტერესებიც. ობიექტური კანონია ისიც, რომ, ზოგადად, პიროვნებას საკუთარ პირადთან ერთად ზე-პირადი, ესენციური ინტერესებიც აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ის იარსებებს განგრძობილად, ვერც მისი ჯიში, ვერც ქვეყანა. ამგვარად, ადამიანური არსებობა განუყრელად დაკავშირებულია ე.წ. „იდეალისტურ“ ინტერესებთან, ხოლო კლეპტოკრატიის ფორმულა „იდეალების გაყიდვა პრაგმატულ მიზნებზე“ – თვითმკვლელობაა ერისთვისაც და ინდივიდისთვისაც. პოლიტიკურ დონეზე ეს ზედროული ზოგადი ინტერესი – ქვეყნის არსებობა – განუყრელია კანონის ნორმების დაცვასთან. მათი დარღვევა, მით უმეტეს დარღვევის მასობრივი ხასიათი არის გზა პიროვნებისა და საზოგადოების სრული დეზორიენტაციისკენ. სისტემად ქცეული უზნეობა გადადის კლინიკურ ფენომენში, ცინიზმი და ნეპოტიზმი – მენტალურ დეგრადაციაში. ზე-პირადი მოტივების უქონლობა „პოლიტიკოსთა“ ლოგიკაში იწვევს სახელმწიფოებრივი მოვალეობის ცნობიერების მოშლას (რაც საქართველოში ხდება). პარლამენტს ეკარგება ნორმატიული კანონისა და ბუნების კანონის გარჩევის უნარი – მიღებული დეკრეტი რეალობის მართვის იარაღი ჰგონია, საკუთარი თავი – ბელადთა საბჭო. შედეგები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეკონომიკაში. იგი სტაგნაციაშია. ხელისუფლებას არ ესმის, რომ რასაც მნიშვნელობა აქვს ერისთვის, ის უნდა იყოს სახელმწიფოს განკარგულებაში, რაც სჭირდება რეგიონს – რეგიონისაში, რაც ოჯახს – ოჯახისაში. ინგლისში მიწა ეკუთვნის დედოფალს ან სახელმწიფოს, გერმანიში განათლება უფასოა, იაპონიაში ყველა მშრომელმა იცის, რომ იგი მუშაობს ორ საათს თავისთვის, ორ საათს მეწარმისთვის, ორ საათს იაპონიისთვის. იქ, სადაც ბატონობს ძარცვა და გულგრილობა სახელმწიფოსადმი, ქვეყანა ისპობა. მიწა, სამართლიანად, ეკუთვნის არა ხალხს, არამედ ერს, ვინაიდან იგი მომავალი თაობებისაათვის არსებითი რამ არის.

**კანონი** არის „მომწესრიგებელი ნორმა, რომელიც გვითითებს, რა უნდა მოხდეს („ჯერ-არს რომ მოხდეს“, soll), ჯერარსისეული კანონები ნაწილობრივ სამართლისეული კანონებისგან შედგება, ნაწილობრივ ზნეობის კანონის ფორმულირებებისაგან. პირველი სავალდებულო ნორმებადაა დაწესებული მოქმედი ხელისუფლების მიერ და, ამდენად, მხოლოდ გარეგან ქცევას ეხება. დღეს გაბატონებული აზრით, პირველნი მეორეთაგან ამონარიდებს წარმოადგენენ“ (ბროკჰაუზის ენც. 1969). საქართველოს ხელისუფლებას ჰმართებს ამ დეფინიციიდან იმის გაგება, რომ კანონის სისტემატური დარღვევით თავის სასარგებლოდ იგი უპირისპირდება არა მხოლოდ პარლამენტის მიერ დადგენილ ნორმას, არამედ ისტორიის მიერ დადგენილსაც საერთოდ.

**ტრადიცია** (რასაც საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებით აქტიურად ებრძვის) არის „ერთ-ერთი ძირითადი ფენომენი ადამიანური არსებობისა. როგორც თვითცნობიერი, ხსოვნისუნარიანი არსება, ადამიანი ცხოვრობს თავის წინაპართა გამოცდილებების, უნარების, შემეცნებების და მათგან წვდომილი ჭეშმარიტებების გარემოში, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ მოვლენის მწვერვალია ისტორიული ცნობიერება, რაც შესაძლებელს ხდის აზრიან, ცალკეული ადამიანის სიცოცხლის იქით გამღწევ წესრიგთა და სტრუქტურათა შექმნას“ (ბროკჰაუზის ენც. 1973).

საქართველოში არსებული ყველა ცალკეული სიმახინჯის მიზეზია აბსურდული პოლიტიკური სისტემა, ამ უკანასკნელის ერთერთი მთავარი მიზეზი კი უმეცრებაა, რომლის ცალკეული პუნქტები ზემოთ ვახსენეთ. პარლამენტარული ძალაუფლების გამოყენებით და არაკონსტიტუციური სტრუქტურების სახელით მმართველი სუბიექტები და ინსტიტუტები, უზურპატორული მერები და სხვანი არიან ჯერ კიდევ შენარჩუნებული ბელადის (და არა კანონის) ძალაუფლების ქვეშ მყოფი ტოტემი (ტოტემური ცნობიერებით მაცხოვრებელი ტომი). ეს ამ მოვლენის სავსებით ობიექტური შეფასებაა. დღეს პირველყოფილ ტომებს აქვთ რეზერვაციები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ იარსებებენ. ქართველებს რეზერვაცია არ გვაქვს. მაშ უნდა დავიღუპოთ? არა, საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყანა არსებობს (მოზღუდულია სუსტის დაღუპვის კანონის მოქმედებისაგან) იმის წყალობით, რომ მსოფლიოს სურს ცივილიზაციის, როგორც ასეთის, გადარჩენა. მაგრამ რომელი ერიც დაამტკიცებს, რომ გონებით მართული ქმედების უნარს მოკლებულია, იმის გადარჩენა არავის ენდომება.

ნათქვამია, „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?“ (რუსთაველი). ცოდნა ადამიანს იმისთვის სჭირდება, რომ იცოდეს, რა ქნას. დღევანდელი ქართული პოლიტიკის ზემოხსენებული უმეცრება, არაადექვატური, კლინიკურის ზღვარზე მისული წარმოდგენები და რეალობისადმი სრულებით უკუპროპორციული უზურპატორული ამბიციები შესაძლოა უპრეცენდენტო კატასტროფის მომზადება აღმოჩნდეს. ნამუსშერყვნილი ნომენკლატურა და გაამზატებული მონის სიჯიუტე არ რეაგირებს სრული მოსპობის ამ პერსპექტივაზე. მაგრამ ვინაიდან თავის სიბრიყვეს თვითვე ვერ იტანს, მას ქმედების ფარულ მოტივად აქვს თვითსპობა (დამნაშავე ცნობიერება საერთოდ თვითსპობადია). ყველა უსაფუძვლო ამბიცია გადაბრუნებული კომპლექსია, ხოლო უვიცობა გონსაწინააღმდეგო სტაგნაციას იწვევს. ეს მანკიერი დამოკიდებულება ცოდნის მიმართ არის მანკიერი დამოკიდებულება თვით სამყაროს გონის მიმართ.

დამოუკიდებლად წოდებულმა ქვეყანამ, საქართველომ, შემოსევებისა და ოკუპაციის გარეშე გააჩაღა დაუფარავი თვითსპობა – ეკონომიკური, კულტურული, დემოგრაფიული გენოციდი. ისპობა განათლების სისტემა, ჯანდაცვის სისტემა, სპორტი, საზოგადოებრივი ცნობიერება, ეროვნული ტრადიცია. კითხვას – „ვინ არის დამნაშავე“? ერთერთ პასუხად უმეცრების ზემოხსენებული ფაქტორი აქვს. მაგრამ არის სხვაც. ისტორიას თუ გავიხსენებთ, XII საუკუნეში საქართველო იყო მრავალმილიონიანი ძლიერი ქვეყანა, რომელიც აღმაშენებლიდან თამარ მეფემდე ყველა ომებს იგებდა ნებისმიერი რიცხობრივი შეფარდების პირობებში. მერე ქვეყანა დაანგრია დევნილი ავანტურისტის ჯალალედინის შემოსევამ. მას შემდეგ ქვეყანა ფაქტობრივად გონს ვერ მოვიდა. რამ გამოიწვია დამარცხება? ყუთლუარსლანის დროს მონარქიის შეზღუდვის მცდელობამ (რაც ევროპაში ბევრად გვიან მოხდა) ვერ გაიმარჯვა. რუსუდან მეფის დროს ივანე ათაბაგის ხელში აღმოჩნდა ზედმეტი, უზურპირებული სამხედრო კომპეტენცია (მხარგრძელებმა რომ შეირქვეს ათაბაგობა, ამით ფაქტობრივად ხელყვეს მონარქიული არსებული წესი სამხედრო თვითმმართველობისა ფეოდალიზმის პირობებში). შური და სიძულვილი არსებობის ინსტინქტზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა: მთავარსარდალი ივანე ათაბაგი შეგნებულად არ დაეხმარა შალვა და ივანე ახალციხელებს, რომლებიც აღმატებულ მტერს ებრძოდნენ, როგორც წინამბრძოლნი, მათი მოსვრის მიზნით (ეს ეპიზოდი არაპირდაპირ ასახულია შედევრის „შავლეგო“ სიტყვებში „მაშველი არ გჭირდებოდა, შავლეგო“). უზურპაციის ადგილზე საქართველოს დღევანდელ მართვაში ზემოთ გვქონდა საუბარი.

რა უნდა გაკეთდეს? ინდივიდისთვისაც და ერისთვისაც ხსნა ერთია: პირველ ყოვლისა, უნდა გაცნობიერდეს საკუთარი უბადრუკობის მიზეზები. მონისა და ნორმალურის სამყარო განსხვავდება: მონას სძულს მეორე მონა და უკრიტიკოა მონათმფლობელის მიმართ. ჩვენი მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ ადგილობრივი აზროვნების მასშტაბით (სახელმწიფოს უქონლობის პირობებში) აღმოვჩნდით მსოფლიო არენაზე. მთელ მსოფლიოში პარლამენტი პარლამენტია, ჩვენთან (როგორც ვთქვით) – ვერა. ფაქტია, რომ ქართული კულტურა, ზნეობრივი კატეგორიები და ნორმები უმძიმეს პირობებში შემუშავებული საშუალებებია საკუთარ არსებაში გელარძნილობის ძლევისა, რომელიც დღეს მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია და აუცილებელია. მაგრამ ეს არაა საკმარისი თანამედროვე დემოკრატიის ვითარებაში. როგორც ზემოთ ითქვა, აქ უდიდესი მინუსი და სისუსტეა პოლიტიკის კანონების უვიცობა. დემოკრატია გახლავთ არა მხოლოდ არჩევნები, არამედ გონშესაბამისი ქმედების უნარი და ამ უნარის მოხმობის მთელი ისტორია. მსოფლიოში, რამდენადაც თვალი მიგვიწვდება, არის მხოლოდ ოთხი ერი, რომელსაც პერმანენტულად თვითსპობის რეციდივები ემართება: ებრაელი, სომეხი, რუსი და ქართველი. ოთხივე აზიური წარმოშობისაა და ცდილობს ევროპას მიჰბაძოს. კატასტროფების მიზეზი ამ კონტექსტში არის „დამურას სინდრომი“, როცა ვითარების რაციონალურ მოაზრებას თან სდევს გონსაწინააღმდეგო ქმედება, რაც სტაგნაციას იწვევს და ყოველთვის გამოიწვევს. აი, ამ კონტექსტშია ფუნდამენტალური მნიშვნელობის ის მარტივი ჭეშმარიტება, რომელიც ზემოთ ვახსენეთ: **ყველა ერი თავისი გენეტური კოდის გამოც და თავისი ისტორიის გამოც, თავ-თავისებურ სახელმწიფო მოდელს შეძმნის, თუ ამ დარგში თავისუფალი შემოქმედების საშუალება აქვს. ისტორიის სვლა დღეს (უკვე) და უახლოეს საუკუნეებში იქნება ამ მოდელთა მძაფრი კონკურენცია, რომელზეც დიდწილად დამოკიდებული იქნება თვით ამ მოდელთა შემქმნელი ერების ისტორიული ბედი.** ამ ჭეშმარიტების ჩაწვდომა აუცილებელი წამალია იმ ინფანტილური უკრიტიკობისათვის სამართლებრივი სახელმწიფოებრივი აზროვნების დარგში, რაც დღეს გვჭირს.

უნდა მოვუწოდოთ ყველას, ვისაც ქვეყნის არსებობა უნდა, შეიგნოს ელემენტარული პოლიტიკური კატეგორიების შინაარსი და პოლიტიკური კანონები. შეიგნოს და სხვებსაც შეაგნებინოს, რამდენად მიუღებელია ანტიკონსტიტუციური სტრუქტურები, რომლებიც ხელისუფლების ერთ შტოს საშუალებას აძლევს მეორე შტოს კომპეტენციათა უზურპაციისათვის. პოლიტიკოსობის მსურველთ უნდა მოვუწოდოთ, შეიგნონ, რომ პოზიცია „მანდატი მინდა, სახელმწიფო კი არა“ იდიოტიზმიცაა და დანაშაულიც. ვინაიდან ყოველივე ეს თავისით არ მოხდება. უნდა მოვუწოდოთ ჩვენს თანამემამულეებს, გამოიყენონ ქართველი ერის უდიდესი გამოცდილება საზოგადოების ორგანიზების რთულ პირობებში, როცა იგი თავს იცავდა და შრომობდა, მათ შორის ე.წ. „სამხედრო დემოკრატიის“ არაერთი ელემენტისაც, რომელიც თემობაში რეალიზდებოდა და სახიერდებოდა. მრავალი ხახის თვითმომზადება და საკუთარი უნარის მასობრივი ამაღლება, სამხედროს ჩათვლით, ერთი იმ ქმედებათაგანია, რომლებიც ქვეყნის გადარჩენას უსათუოდ სჭირდება.

**გიორგი ნათაძე**

## ჯ. ბარონი. სუკ-ი

# საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა



დასავლეთში ჩამოყალიბდა სტერეოტიპული წარმოდგენა KГБ-ზე როგორც მსოფლიოში ყველაზე ავბედით საიდუმლო პოლიციაზე. გენერალ მაიორი ოლეგ კალუგინი — წარსულში აშშ-ში საბჭოთა დაზვერვის ერთერთი ხელმძღვანელი, სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგარეო დაზვერვის უფროსი — 1990 წელს წერდა: „... არ არსებობს ცხოვრების არცერთი სფერო, რომელშიც სუკ-ის ხელი არ ურევია... ყველაფერი, რასაც ახლა სუკ-ის ფერიცვალებაზე ლაპარაკობენ, ჩემი აზრით, წმინდა წყლის კამუფლაჟია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სუკ-ის საქმიანობას საფუძვლად კვლავ სტალინური მეთოდი უდევს...“

სუკ-ის, ანუ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სტრუქტურა და კონკრეტული საქმიანობა ცხრაკლიტულში მოქცული საიდუმლო იყო სსრკ-ს მოქალაქეთათვის. დღესაც ბევრმა ყოფილმა საბჭოელმა არ იცის მათ შესახებ. დასავლეთის ქვეყნების მკითხველები კი არ იყვნენ მოკლებული ასეთ ინფორმაციებს. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ წვრილმანებიც კი გაეგოთ საბჭოთა საიდუმლო სამსახურის მოღვაწეობის შესახებ, გასცნობოდნენ სკანდალურ ისტორიებს.

დასავლეთის ქვეყნებში არაერთი პუბლიკაცია და წიგნი დაიბეჭდა როგორც უცხოელი ავტორების, ასევე ყოფილი საბჭოთა მზვერავების ავტორობით. სპეციალისტების აზრით, ჯ. ბარონის წიგნი „КГБ“ ყველაზე უფრო სერიოზული და მართალი ნაშრომია ამ თემაზე შექმნილთა შორის. ვასრულებთ ამ წიგნიდან ზოგიერთი თავის პუბლიკაციას.

ჩვენი წყაროა ლიტვაში გამომავალი გაზეთი „Согласие“, №10-17, 1990.

*დასასრული. დასაწყისი იხ. წინა ნომრებში*

1965 წლის სექტემბერში ცენტრმა გადასცა მნიშვნელოვანი ცნობა საბოტკასათვის: „ჩვენ გვინდა, რომ შენ ჩახვიდე ოტავაში, იქირავო მანქანა, წახვიდე ბროკვილის მიმართულებით (ქალაქია ოტავიდან თითქმის 90 კმ-ის დაშორებით) და სამ ოქტომბერს დღის პირველ საათზე იყო „გრენადირინ“-ის შესასვლელში. პიჯაკის მარცხენა ჯიბეში უნდა გედოს დაკეცილი ჟურნალი „ლუკ“. შენ გკითხავენ: „ხომ არ იყავით შემთხვევით ბრნოში?“ კარგად იყავით!“

საბოტკას არავითარი სურვილი არ ჰქონდა მიეცა თავისი სახელი დამქირავებელი საავტომობილო ფირმისათვის, დაარღვია მიღებული ინსტრუქციები და ბროკვილში მატარებლით გაემგზავრა. ამ დროს სუკ-ის თანამშრომელმა ვიქტორ მიტროფანეს ძე მიასნიკოვმა, რომელიც უკვე ერთი წელი იყო, რაც კანადაში იმყოფებოდა საბჭოთა დიპლომატის სახელით, ჩაალწია თანამგზავრი მანქანებით ოტავიდან ბროკვილში. იმ კვირა დილით გზებზე თითქმის არ იყო არანაირი მოძრაობა და დიპლომატი ვერ ახერხებდა გაეჩერებინა ოტავიდან ბროკვილში მიმავალი მანქანები, რის გამოც მან დაიგვიანა შეხვედრაზე ნახევარი საათით.

მიასნიკოვმა ნიშანი მისცა საბოტკას მიჰყოლოდა მას ერთერთი დაბინძურებული ქუჩით, რომელიც მთავრდებოდა ბუჩქნარიანი შამბნარით შუა მინდორში. ვიდრე ისინი მიდიოდნენ, საბოტკას სტანჯავდა სრულიად ფანტასტური მოჩვენებები. მან წარმოიდგინა, რომ სუკ-მა გამოიცნო მისი შინაგანი გრძნობები და რომ ამ გასეირნების ბოლოს მას ტყვია ელოდა. მაგრამ მიასნიკოვს თავი ძალიან თავისუფლად და მშვიდად ეჭირა, „ანტონ, მომიყევი, როგორ ცხოვრობ? — წამოიწყო მიასნიკოვმა, — როგორ გყავს ოჯახი, როგორ გაქვს საქმე ფულის მხრივ?“ იგი მოწონების ნიშნად თავს უქნევდა, როცა საბოტკა უყვებოდა მისი ცხოვრების შესახებ ედმონტონში. შემდეგ უთხრა, მოესმინა მისთვის ყურადღებით და აუხსნა სამალავის მდებარეობა — ხის ქვეშ ბელანჯერის მახლობლად, სადაც სუკ-ი მომავალ თვეში აპირებდა 4000 დოლარის დამარხვას. „ის დაგჭირდება დავალებებისათვის მომავალში“, — უთხრა მან.

მიასნიკოვმა საბოტკას გადასცა ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზედაც ტორონტოს გარეუბანში მდებარე ერთი სახლის მისამართი ეწერა და განაგრძო: „ვიდრე შენ აქვე, ახლოს იმყოფები, შეგიძლია ჩვენთვის რაღაც-რაღაცეების გაკეთება. გაიგე, ვინაა ამ სახლის პატრონი და ცხოვრობენ თუ არა იქ მუდმივად სტუმრები. გააკეთე ეს ჩვეულებრივად: წარუდგინე თავი როგორც გაყიდვის ბიუროს აგენტი და როგორმე შედი სახლში; მერე დაწერე დაწვრილებითი ანგარიში. საჩქარო არაფერია, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს“.

სახლის გამოკვლევის დავალებამ ააფორიაქა საბოტკა. ნათელი იყო, რომ სუკ-ი დაეძებს ვიღაცას. მას უნდოდა სცოდნოდა მიზეზი. საბოტკას შეასწავლეს დასანგრევი ობიექტების ძებნის საქმე. „სუკ-ი ნადირობს ვინმეზე, რომ მოკლას? თუ ეს ასეა, ხომ არ გახდება იგი თანამონაწილე მკვლელობისა, თუ მიეხმარება სუკ-ს სავარაუდო მსხვერპლის ადგილმდებარეობის მოძებნაში? ხომ არ უბრძანებენ მას ამ კაცის მოკვლას?“ — აფორიაქებული ეკითხებოდა თავის თავს საბოტკა. მიასნიკოვთან განშორების შემდეგ, რომელიც მას მეტად გულითადად ესაუბრა, ვერავითარი სიმშვიდე ვერ იგრძნო. იგი მიხვდა, რომ სუკ-ში მას ძველებურად ენდობოდნენ და ეს პატარა დავალება მხოლოდ დასაწყისი იყო ახალი დიდი დავალებისა. საბოტკამ აიღო ნომერი ბროკვილის სასტუმროში, მეორე დღეს აპირებდა ტორონტოში მატარებლით გამგზავრებას და ედმონტონში თვითმფრინავით გაფრენას. თავის ნომერში რომ გაემართა, მან დაინახა სასტუმროს ფოიეში შემოსული კაცი, რომელიც პორტიესთან მივიდა და გაუბა მას საუბარი. შესაძლებელია, ეს კაცი სასტუმროს ერთერთი მდგმური იყო მხოლოდ. მაგრამ შეშინებულმა საბოტკამ გადაწყვიტა, რომ მასზე დააწესეს თვალთვალი. პანიკაში ჩავარდნილი საბოტკა ჩაიკეტა სააბაზანოში და დაწვა ქაღალდის ორი ნაგლეჯი, რომლებიც მიასნიკოვისაგან მიიღო: ერთერთზე იყო სახლის მისამართი პორტ-კრედიტში, ხოლო მეორეზე — ახალი ბინის მისამართი პრაღაში, გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის. მეორე დილით, როცა სადგურში საბილეთო სალაროს მოსცილდა, მან დაინახა სხვა კაცი, რომელიც ურიგოდ მიიწევდა ფანჯრისკენ და რაღაცას ეკითხებოდა მოლარეს. მას მოეჩვენა, თითქოს მატარებელში ენახა ეს კაცი. თავისი სახლის სარდაფში საბოტკამ შეადგინა მიმართვის წერილი მიკროფილმში: „არის საფუძველი ვიფიქრო, რომ ჩემზე დააწესეს თვალთვალი კანადის უშიშროების აგენტებმა. უნდა შევწყვიტო ოპერაციები გარემოებათა გამორკვევამდე“. მან მიკროფილმი მიაწება ძალიან თავაზიანი ფორმით დაწერილ წერილს და გაგზავნა იგი პრაღაში ახალ მისამართზე, რომლის დამახსოვრებასაც შეეცადა, ვიდრე დაწვავდა მიასნიკოვისაგან გადმოცემულ ქაღალდს. მაგრამ ცენტრიდან გადმოცემული მომდევნო რადიოგზავნილიდან ვერაფერი ვერ გაიგო წერილის მიღების შესახებ. საბოტკამ გაიმეორა მისი ვარაუდი მასზე თვალთვალის დაწესების შესახებ და კვლავ გაგზავნა წერილი პრაღაში. მაგრამ შემდგომ რადიოგადაცემებშიც პასუხი არ ჩანდა. მას ლანძღავდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ არ აიღო სამალავიდან 4000 დოლარი და არ გადასცა ინფორმაცია პორტ-კრედიტში სახლის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, საბოტკამ არასწორად დაიმახსოვრა პრაღაში ახალი მისამართი. ოთხი თვის შემდეგ ცენტრმა აცნობა მას, რომ მისი წერილები აღმოჩენილ იქნა ჩაუბარებელი წერილების დასტაში პრაღის ერთერთ საფოსტო განყოფილებაში. სუკ-ი დაეთანხმა საბოტკას, რომ ჯერჯერობით, რაღაც დროით არ ღირდა რაიმე ისეთის გაკეთება, რაც ეჭვს გამოიწვევს. ამას მოჰყვა რადიოგადაცემების შეწყვეტა. კავშირი ხორციელდებოდა მხოლოდ მიკროფილმების საშუალებით. საბოტკა პერიოდულად იღებდა შემდეგი შინაარსის წერილებს: „გილოცავთ, ამხანაგო, დაბადების დღეს და გითვლით საუკეთესო სურვილებს მომავალში ახალი დავალებების შესასრულებლად. შენი მეგობრები“.

საბოტკა დაიმონა აზრმა, რომ მალე დააპატიმრებდნენ. იმედოვნებდა მხოლოდ, რომ მისი ოჯახი არ აღმოჩნდებოდა ძლიერ გასაჭირში მისი დაპატიმრების შემთხვევაში და, რომ შემდეგში მათ მისცემენ კანადაში დარჩენის უფლებას. მაგრამ არაფერი არ მოხდა. არ იყო არავითარი ნიშანი იმისა, რომ იგი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და ხელისუფლებაც არ ავლენდა არავითარ ინტერესს მისი საქმიანობის მიმართ, თუმცა მიასნიკოვთან შეხვედრის შემდეგ იგი აბსოლუტურად იყო დარწმუნებული, რომ მას უთვალთვალებდნენ. საბოტკამ ახლა მერყეობა დაიწყო თავის ეჭვებში. სუკ-მაც დაიწყო ეჭვების გამოხატვა. 1967 წლის აგვისტოში მოვიდა მიკროფილმი ბრძანებით, გამოცხადებულიყო მორიგ საიდუმლო შეხვედრაზე.

2 ოქტომბერს საბოტკა გაფრინდა მონრეალში. ზუსტად 14 საათზე იგი იდგა წმინდა იოსების ტაძარში ჟურნალით „ლუკ“ ჯიბეში და ელოდა, რომ ვინმეს ეკითხა მისთვის: „ხომ არ იყავით შემთხვევით ბრნოში?!“ ამჯერად მას შეხვდა ანატოლი პავლეს ძე შალნიოვი, სუკ-ის ერთერთი სპეციალისტი, გაგზავნილი ექსპო-67-ზე. შალნიოვი დაგვიანებით გამოცხადდა, თქვა პაროლი და გაიყვანა საბოტკა უახლოესი სკამისკენ საკურთხეველთან ახლოს. შალნიოვი ლაპარაკობდა დამტვრეული ინგლისურით. მან ჰკითხა, რატომ არ შეასრულა საბოტკამ დავალება, რომელიც მიიღო მიასნიკოვისაგან ორი წლის წინ. საბოტკამ მოთმინებით აუხსნა თავისი შიში იმის გამო, რომ კანადელები უთვალთვალებდნენ მას. როცა შალნიოვმა დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს სამუშაოს, საბოტკამ ძლივს ამოღერღა სათქმელი. მას არ შეუძლია დააფინანსოს ოპერაციები საკუთარი დანაზოგიდან და დაუმატა, რომ მას ძლივს ეყო ფული მონრეალში წამოსასვლელად ბილეთის საყიდლად. „მისმინე, ანტონ, — გამოეპასუხა შალნიოვი, — მე აქ ვიმყოფები, როგორც ტურისტი ექსპოზე, და თან არა მაქვს ზედმეტი ფული. მე მესმის შენი სიძნელეები და თუ შენ ფიქრობ, რომ შესძლებ დაიწყო მოქმედება დაუყოვნებლივ, მე გიშოვი შენ ცოტა ფულს“. მეორე დღეს, შუადღისას, მონრეალის პარკში შალნიოვმა საბოტკას გადასცა ოთხასი დოლარი და რადიოგადაცემების სხვა განრიგი. მან უთხრა აგრეთვე, რომ მომდევნო გადაცემებში იგი მიიღებს შემდგომ ბრძანებებს. საბოტკასთვის სუკ-ის დავალებისაგან სულის მოთქმა დასრულდა. გადამწყვეტი შეტყობინება მოვიდა 1968 წლის გაზაფხულზე. მასში საბოტკას უბრძანებდნენ მომზადებულიყო სამოგზაუროდ აღმოსავლეთ ბერლინში წლის ბოლოსათვის. სარდაფში, სიმარტოვეში, ბნელი ფიქრებით გართულმა საბოტკამ იცოდა, რომ ახლა უკან დასახევი გზა არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, ფიქრობდა იგი, სუკ-ი მას დაკითხვებს მოუწყობს, რათა დარწმუნდეს, რომ მისი ნდობა კვლავ შეიძლება. თუ დარჩებიან კმაყოფილი, მას გამოგზავნიან უკან სერიოზული დავალებით, რასაც კანადა არასოდეს აპატიებს. ხოლო თუ სუკ-ი არ იქნება დაკმაყოფილებული დაკითხვებით, მას, უბრალოდ, არ მისცემენ დაბრუნების საშუალებას. მას კიდევ ერთხელ გაუელვა აზრმა, მიემართა კანადის პოლიციისათვის, მაგრამ დასძლია შიშმა მისი ახლობლების უსაფრთხოების გამო. გარეთ უკვე ირიჟრაჟა, როცა საბოტკამ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება. იგი აფოფხდა სახურავზე, მოხსნა თავისი ანტენები და მოიცილა რადიომიმღები. მან ასე მარტივად შეწყვიტრა სუკ-ის გადაცემების მოსმენა.

მოსკოვი აგრძელებდა საბოტკას გამოძახებას 6 თვის განმავლობაში და მხოლოდ ამის შემდეგ შეწყვიტა გადაცემები. სუკ-ი შეეცადა დაებრუნებინა საბოტკა. 1969 წელს კანადაში გაგზავნეს მამამისი და დააბარეს გულითადი მიწვევა ჩეხოსლოვაკიაში დასაბრუნებლად. „მე აღარასოდეს არ დავბრუნდები, — უთხრა მას საბოტკამ, — მე არ ვიმოქმედებ კანადის წინააღმდეგ. მე წავიდოდი პოლიციაში აქვე, რომ არ მეშინოდეს იმისა, რა შეიძლება მოგივიდეთ თქვენ ან ჩემს ოჯახს“. ერთი წლის შემდეგ მამამ გამოუგზავნა გულისამაჩუყებელი წერილი, ემუდარებოდა შვილს დაბრუნებულიყო ჩეხოსლოვაკიაში. მიუხედავად იმისა, რომ მამამისი ერთგული კომუნისტი იყო, იგი იმავე დროს იყო უფრო ერთგული მამა. ამიტომ ოსტატურად აგრძნობინა ანტონს, რომ წერილი იძულებით იყო დაწერილი. 1971 წელს მასთან დაიწყეს დარეკვები საბჭოთა საელჩოდან მოთხოვნით, რომ დაებრუნებინა თავისი საიდუმლო ნივთები, ბლოკნოტები კოდებით, რადიოგადაცემების განრიგი, მიკროფილმები და მოწყობილობა მის წასაკითხად — ყველაფერი ეს წარმოადგენდა მატერიალურ დამამტკიცებელ საბუთებს იმისა, რომ სუკ-ის მოქმედებები კანადის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამ პერიპეტიების დროს საბოტკა ყოველ დილით იღვიძებდა ისეთი გრძნობით, რომ დღეს მას ან დააპატიმრებს კანადის პოლიცია, ან მოკვდება სუკ-ის აგენტის ტყვიით. მის ტანჯვას ბოლო მოეღო მხოლოდ 1972 წლის აპრილში, როცა კანადის პოლიციამ ქუჩაში ალყაში მოაქცია იგი. მისი მზადყოფნა, დაუყოვნებლივ ეთანამშრომლა კანადელებთან, კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გაიგო, რამდენად ბევრი რამ სცოდნიათ მის შესახებ უშიშროების ამ თანამშრომლებს.

მართალია, სუკ-მა კრახი განიცადა საბოტკასთან კავშირში, მაგრამ ეს საქმე მხოლოდ ერთია მრავალთა შორის. „ბ“ განყოფილების თანამშრომლებს ევალებათ უხელმძღვანელონ მთელ აგენტურულ ქსელებს, საიდანაც არ უნდა მოქმედებდნენ ისინი: საერთაშორისო ბაზრობის ტერიტორიიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დარბაზებიდან თუ საბჭოთა საელჩოს კედლებიდან. ეჭვგარეშეა, ამ აგენტების დიდი რაოდენობა უჩინრად შეეზარდა დასავლეთის საზოგადოების სხეულს. მიუხედავად საკმარისად მნიშვნელოვანი ჩავარდნებისა, რომლებიც იწვნია „ბ“ განყოფილებამ, იგი აგრძელებდა თავისი ბნელი საქმეების კეთებას. არსებობს ირიბი დადასტურებები იმისა, რომ ეს საქმიანობა მოიცავდა მკვლელობებსაც. 1972 წლის 7 სექტემბრის საღამოს ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში, გაზეთის გამომცემლის მონაჩუჯუდინ გახიზის სახლში გამოცხადდნენ მისთვის უცნობი ადამიანები და შესთავაზეს ანტიკომუნისტური პროპაგანდის შეწყვეტა გაზეთის ფურცლებიდან. როცა გახიზიმ გამომწვევად უთხრა უარი, მათ სასიკვდილოდ დაჭრეს იგი, მოკლეს მისი ძმისშვილი და დაჭრეს სახლში მყოფი სტუმარი. მკვლელობა შეგნებულად შესრულდა უხეშად. მისი მიზანი იყო არა მხოლოდ სსრკ-ს მოწინააღმდეგის ლიკვიდირება, არამედ აგრეთვე დაშინება და იძულებით სხვების გაჩუმება. მკვლელებმა სპეციალურად დატოვეს ბევრი სამხილი. მოწმეებმა უჩვენეს, რომ ეს ადამიანები მოვიდნენ საბჭოთა ჯიპით. ბალისტიკური ტესტებით დაადგინეს, რომ გახიზისა და მისი ძმისშვილის სხეულებში აღმოჩენილი ტყვიები გასროლილი იყო საბჭოთა ავტომატური იარაღიდან. მკვლელობის შემდეგ საბჭოთა ელჩმა სერგეი პეტრეს ძე კიკტიოვმა სრულიად მოულოდნელად და უცერემონიოდ დატოვა ქვეყანა. „კრისჩენ საინს მონიტორ“-მა და პარიზულმა ყოველკვირეულმა „ვალერ აქტუელ“-მა ამხილეს კიკტიოვი, როგორც სუკ-ის თანამშრომელი. იგი ხელმძღვანელობდა ჯაშუშებს თურქეთში 1947-1949 წლებში, ეგვიპტეში — 1950-1954 წლებში და ლიბანში — 1955-1961 წლებში. სამივე ქვეყანაში მას საქმე ჰქონდა ტერორისტულ ჯგუფებთან. ქარიშხლის ჩადგომას კიკტიოვი ცენტრის წყნარ ნავსადგურში დაელოდა. 1972 წლის 12 დეკემბერს მაროკოში თავისი რწმუნების სიგელები გადასცა ახალმა საბჭოთა ელჩმა. ელჩი გახლდათ სერგეი პეტრეს ძე კიკტიოვი.

### თავი XIV
### მსოფლიოს წინაშე მდგარი არჩევანი

თვლიან რა სუკ-ს ხელისფლების ძირითად იარაღად და მიეჩვივნენ რა, მუდამ მას ეყრდნობოდნენ, საბჭოთა მმართველები სრულებით არ არიან მზად რაიმე შეცვალონ. მთელ ძალღონეს ახმარენ იმას, რომ თავი გაასაღონ კეთილგონიერ და წინდახედულ ადამიანებად და, იმავე დროს, არ ამჟღავნებენ არავითარ სურვილს, შეამცირონ სუკ-ის როლი საშინაო და საგარეო საბჭოთა პოლიტიკაში.

საბჭოთა ხელმძღვანელობა უარს ამბობს ითმინოს იდეოლოგიური უთანხმოება შინ თუ საზღვარგარეთ და აგრძელებს სუკ-ის გამოყენებას ყველას წინააღმდეგ, ვინც ეწინააღმდეგება მას. როდისღა გახდება ნათელი საბჭოთა მმართველობისათვის, რომ სუკ-ი წამალი კი არაა, არამედ, უფრო, მიზეზია პრობლემებისა, რომელთა გადაჭრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ წყობის არსებობის გასაგრძელებლად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ანონსი

# „საქართველოს“ ფურცლებზე უახლოეს მომავალში

...ჩვენ თაყვანს ვცემთ ადამიანის ადამიანურ უფლებათა საყოველთაო და სავალდებულო დაცვის იდეას, რომელიც გაცოცხლდა და ახალი ძალით ფრთები შეისხა მეორე მსოფლიო ომის დროს მისი ერთი მხარის — ღერძის სახელმწიფოების — მიერ ჩადენილი და მათი დამარცხების შემდეგ გამომზეურებული დანაშაულების შემზარავი შთაბეჭდილებების გავლენით. ვეთაყვანებით იმათ ხსოვნას, მათ შორის — არაერთი ქართველისას, ვინც ამ წმიდა საქმეს თავი შესწირა იმის სრული შეგნებით, რომ ამ მოძრაობაში არჩაბმა, თავის დაზოგვა საკუთარი ღირსების ღალატსაც ნიშნავდა და საკუთარი ქვეყნისასაც. ამავე დროს ვფიქრობთ (და მოვუწოდებთ ფართო საზოგადოებრიობასაც, იფიქროს, რადგან ეს თემა ფიქრად ღირს): არის ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის წმინდა საქმე დღევანდელ მსოფლიოში ის, რაც იგი უნდა იყოს და შეუძლია, რომ იყოს? პირველ ყოვლისა

აქვს მას ის ორგანიზაციული ფორმა, რომელიც უნდა ჰქონდეს? ამაში ეჭვი გვეპარება და აი, რატომ:

კაცობრიობამ დიდი ხანია იცის, სულ ცოტა — იმანუელ კანტის დროიდან მაინც, რომ ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაშია და მხოლოდ მანამდეა მოქალაქე, სანამ იგი თვითონ წყვეტს, რაში მდგომარეობს მისი ბედნიერება, ანუ რა არის ის, რაც მას ყველაზე გულითადად, ღრმად, თავისი სულიერი ძალების მთელი დაბანდებით უნდა. უნდა, რასაკვირველია, არა მხოლოდ თავისთვის, არამედ სხვისთვისაც, — პირველ ყოვლისა, ყველა იმათთვის, ვინც უყვარს და უღირს, მერე — მთელი სამყაროსთვის ან მისი იმ ნაწილისთვის, რომელიც ამ ადამიანის თვალსაწიერში ხვდება. ამ თავისი სურვილით აღჭურვილი შედის იგი ე.წ. საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში სხვა ადამიანებთან და საზოგადოებას ქმნის. თუ იგი ამას თვითონ არ წყვეტს (ან არ აწყვეტინებენ), თუ მას სხვა ჰკარნახობს, რა არის მისთვის კარგი და რა არის ცუდი, მაშინ იგი მოქალაქე კი არაა, არამედ მხოლოდ ქვეშევრდომია, რომელსაც ცხოვრების წესს, ნორმას, უფლებებისა და მოვალეობების ბალანსს, მისი ხელისუფალი ურჩევს, როგორც პატრონი ურჩევს საკვებს თავის საყვარელ შინაურ ცხოველს — უკეთეს შემთხვევაში, კეთილი და ბრძენი ხელმწიფე, უარესში — ვინმე ბოროტი ტირანი. ხომ არ არის წინააღმდეგობა იმაში, რომ ამ უდავო ჭეშმარიტების მცოდნე კაცობრიობას დღეს პრაქტიკად აქვს, რომ ადამიანის ადამიანურ უფლებათა დამცველ ნორმებს, ანუ ადამიანის უფლებათათვის განკუთვნილი საერთაშორისო კონვენციების ტექსტებს ადგენენ ერთნი, ხოლო ამ ნორმებით იმართებიან მეორენი, რომ ნორმათა გაცნობიერება და ფორმულირება ხდება დედამიწის ერთ, შედარებით უფრო განვითარებულ ნაწილში, მაგრამ მათი გავრცელების (და, როგორც ყველამ ვიცით, ფაქტობრივად სავალდებულო გავრცელების) არე მთელს დედამიწას მოიცავს გარდა რამდენიმე ტოტალიტარული სახელმწიფოსი, რომელიც კაცობრიობას დღემდე ანაქრონიზმად შემორჩა?

როგორ გვგონია: სწყინს თუ არა რომელიმე იქს თუ იგრეკ ცივილიზაციის (იგულისხმება, რასაკვირველია: არაევროპული ცივილიზაციის) შვილს, რომ მისი ცხოვრების ნორმათა განმსაზღვრელი კონვენციების ტექსტები ვენაში, პრაღაში ან რომელსამე სხვა დასავლურ დედაქალაქში დგება, რის შედეგადაც მისი სახელმწიფოს მეთაური მათზე ხელს აწერს, პარლამენტი რატიფიკაციას უკეთებს და ეს ნორმები სავალდებულო წესით შედის მის ქუჩაში, მის ოჯახში, მისი და მისი შვილების ურთიერთობაში და ასე შემდეგ? ალბათ, სწყინს.

მეორე მხრივ,

რა ვუპასუხოთ რომელსამე ალფა თუ ბეტა კონტინენტის მაცხოვრებელს, რომელსაც ცხვირში რგოლი აქვს გაყრილი, მაგრამ თავისი ბუნებრივი ნიჭის წყალობით, ფილოსოფოსობის მოყვარულია, როცა იგი გამოჰყვება ჩვენი აქვე ზემოთ მოცემული მსჯელობის ხაზს და გვეტყვის: „ჩემთვის ვცხოვრობ ამ ჩემს კონტინენტზე. როგორც თქვენ გაქვთ თქვენი ტრადიცია და ცხოვრების წესი, ისე მეც ჩემი მაქვს. თქვენ რომ მტერს კლავთ ომში, მარხავთ, როგორ თქვენი მამა-პაპანი იქცეოდნენ. მე კი შევექცევი ჩემ მამაპაპასავით. თქვენ ეს არ გჭირდებათ, იმიტომ რომ მესაქონლეობა ჩვენზე უკეთ განვითარებული გაქვთ. მაგრამ მე ვერ ვხედავ ვერანაირ საფუძველს, რომ ამ განსხვავების გამო შენ მე ალმაცერად მიყურებდე. ბოლოსდაბოლოს, მე და ის ჩემი მოწინააღმდეგე ხომ თანასწორნი ვართ: ჩვენი თამაშის წესები ვიცით და არც ერთი ჩვენგანისთვის არაა საიდუმლო, რა მოგველის დამარცხების შემთხვევაში. მაშ დემორეტიაც მქონია. აბა როგორ!“

ჩვენი პასუხი ჩვენს გულში ალბათ ის იქნება, რომ მივხვდებით: თურმე ამ წმინდა საქმეს, რომელსაც ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვა ჰქვია, თავისი პედაგოგიური მხარეც ჰქონია: შედარებით განვითარებული და ნასწავლი ადამიანები რომ ნაკლებად განვითარებულებსა და ნაკლებად ნასწავლებს თავისი წინაპრების მიერ უკვე გავლილი პროგრესის გზას უჩვენებენ და მასზე გასავლელად თავისი შეგირდებისათვის პატარა „წაბიძგებას“ არ ერიდებიან, ანუ რბილ იძულებას მიჰმართავენ, ამაში რაღაცა რაციონალური მარცვალიც ყოფილა! მაგრამ სად გადის ამ იძულების საზღვარი, რომლის გამოყენება „პედაგოგს“ შეუძლია დ ჰმართებს თავისი „შეგირდის“ მიმართ? რით შეებრძოლოს პირველი მეორის სავსებით გულწრფელ სურვილს, რომ კანიბალი პაპის გზა არ მიატოვოს? პოპულარული ბუკლეტებით? დახმარების შეწყვეტით? საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისი ქვეყნის გამოყვანით? თუ, ეგებ, ფიზიკური სანქციების გამოყენებით შესაბამისი ტერიტორიების მიმართ, თვით მათ დაბომბვამდე?

როგორც ვხედავთ, საფიქრალი ყოფილა. მაშ დავფიქრდეთ, ფიქრი ერთმანეთს გავუზიაროთ მეცნიერულად და, ეგებ, ჩვენს უფლებადაცვითს თეორიასა და პრაქტიკას ამით პოზიტიური სამსახური გავუწიოთ! ჩვენი გაზეთის მყარი პოზიცია ისაა, რომ ამ მძიმე ამოცანის გადაჭრის გასაღები ჯადოსნურ სიტყვაში „მეცნიერება“ დევს. „შეგირდს“ სათქმელი უნდა მიეწოდოს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების ფორმით და არა ზეგანვითარებულ საზოგადოებათა გემოვნების ფორმით, ამას კი სჭირდება კეთილსინდისიერი კვლევითი სამუშაოები ღია და კეთილსინდისიერივე დისკუსიების ჩათვლით.

გაზეთი „საქართველო“ ადამიანის უფელბათა დაცვის იდეოლოგიისა და პრაქტიკის გაღრმავებულ განხილვას გეგმავს. მაგრამ ჯერ წეღან ხსენებულ ჰუმორით შეზავებულ პრობლემაზე უფრო რთული რამდენიმე პრობლემაც უნდა ვახსენოთ.

* * *

ადამიანებში აუარებელი განსხვავებები არსებობს, მათ შორის ზოგი იმგვარია, რომ ამა და ამ თვისებათა მატარებელ უმცირესობას სოციუმში პრობლემებს უქმნის. ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის იდეოლოგიასა და პრაქტიკაში დღეს განუყოფლად ბატონობს ის პოზიცია, რომ ასეთ შემთხვევებში უმცირესობის მხარე დაიჭირონ. მაგრამ ყოველი კონკრეტული განსხვავებული მახასიათებლის დაცვის შემთხვევაში გასარკვევია: რისგან იცავს ეს პრაქტიკა ამ უმცირესობას ამ კონკრეტულ შემთხვევაში? თავისუფლების ალკვეთით დასჯისაგან, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა კავშირში, მაგალითად, ერთსქესიანი ურთიერთობის მიმართ? არა, ეს „დაცვა“ ამით არ იზღუდება. მდუმარედ ნაგულისხმევია, როგორც თავისთავად ცხადი რამ, რომ იმ უმცირესობას უნდა დაუკანონდეს არა მხოლოდ საკუთარი თავის განკარგვის უფლება, ისე როგორც თვითონ ჰსურს, რადგან ეს მართლაც ადამიანის, როგორც გონიერი და თავისუფალი არსების, ბუნებრივ უფლებათა რიცხვს ეკუთვნის, არამედ თავისი სპეციფიკის შესაბამისად მთლიანად საზოგადოების ცხოვრების, მისი კონკრეტული ინსტიტუტების რეფორმირების უფლებაც, რათა მოიხსნას ყოველგვარი გარჩევა, „დისკრიმინაციად“ წოდებული, უმცირესობისა და უმრავლესობის ცხოვრების წესსა და სოციუმის ერთიან სივრცეში თავისი ბუნებითი მახასიათებლების რეალიზაციის უფლების ზომას შორის. ვთქვათ, ევროსაბჭოს ეგიდით თბილისში იგეგმება „განსხვავებულთა“, როგორც ასეთთა, დემონსტრაცია (ეს მცდელობა იყო, მაგრამ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის რჩევით აღარ შედგა), თუმცა ცნობილია, რომ თბილისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამგვარ დემონსტრაციას თავისთვის შეურაცხყოფად თვლის. რა საბუთით იგეგმება? იმ საბუთით, რომ განსხვავებულობა, ანუ ამა და ამ პარამეტრში უმცირესობაში ყოფნა არ ნიშნავს უარესობას და ამიტომ იმ განსხვავებულ მახასიათებელსაც გაშლის თავისუფალი ასპარეზი უნდა მიეცეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მგეგმავს არ ესმის მისი გეგმის მოწინააღმდეგე უმრავლესობის უმარტივესი არგუმენტი: „თქვენი თავი თქვენ გეკუთვნით, არავინ გეცილებათ მისი განკარგვის უფლებაში. მაგრამ თბილისის ქუჩები თქვენ არ გეკუთვნით. ისინი ჩვენც გვეკუთვნის, მათში ჩვენი შვილები იზრდებიან და თქვენ არა გაქვთ უფლება ჩვენი ეს სასიცოცხლო საოჯახო ინტერესი შელახოთ. ეს უფლება არ გექნებოდათ იმ შემთხვევაშიც, ჩვენ რომ უმცირესობას შევადგენდეთ რიცხობრივად და არა უმრავლესობას, როგორც სინამდვილეში ვართ. ჩვენი ამ პოზიციის ხელყოფის უფლება თქვენ გექნებოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თქვენს მოთხოვნას რომ მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტაცია ჰქონდეს. ასეთი, როგორც ცნობილია, არ არსებობს“. ანალოგიური არგუმენტი კიდევ უფრო თვალსაჩინოა ერთსქესიანი ქორწინების დაკანონების შემთხვევაში, რასაც ევროპის არაერთ ქვეყანაში უკვე ადგილი აქვს და რაც რეკომენდირებულია ევროპარლამენტის მიერ ყველასთვის: „თქვენი თავი თქვენია. მაგრამ ქორწინების ინსტიტუტი თქვენი არ არის. იგი იმათია, ვინც მისით ცხოვრობს, თაობებს ქმნის, ზრდის და ასე შემდეგ? და ვისაც მისი შემცვლელი ამა და ამ ფუნქციებისათვის სხვა არაფერი მოეპოვება. დაგვანებეთ იგი ხელუხლებლად და შეურყვნელად, ხოლო თქვენ თუ თქვენი ურთიერთობების იურიდიული გაფორმება გინდათ, მოუძებნეთ მას რაღაც ახალი ფორმა და ახალი სახელი“. ეს მარტივი ლოგიკა უგულებელყოფილია რადიკალურად და შეუვალად, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია, რომ სავსებით შემწყნარებელ, ბუნებით დემოკრატ, ჰუმანისტ, მშრომელ და სოციალურად ყოველმხრივ ჯანმრთელ ადამიანთა — კაცთა და ქალთა — უდიდეს უმრავლესობაში ამ გადახრის არსებობის ყოველი შემთხვევა აღიქმება, პრინციპში, როგორც სავალალო ფაქტი და საზოგადოების, როგორც მთელის, მდგომარეობის კონკრეტული მინუსი.

* * *

წავიწიოთ კიდევ ცოტა წინ

...თავისუფალმოაზრეობა, ანუ უკლებლივ ყველა მიღებული ღირებულების, ნორმის, რწმენის, წესის კითხვის ქვეშ მოქცევისა და საკუთარი გონების სამსჯავროს წინაშე დაყენების უნარი და მისწრაფება ადამიანის, როგორც გონიერი და თავისუფალი არსების, ერთ სპეციფიკურ თვისებად და ერთ ბუნებრივ უფლებადაა აღიარებული ათასწლეულების მანძილზე (განსაკუთრებით, რასაკვირველია, ამ უკანასკნელ რამდენსამე საუკუნეში). ამავე დროს — და ამის საწინააღმდეგოდ, — კაცობრიობის ერთერთი მარადიული ამოცანა არის პედაგოგიკა — უფრო გამოცდილთა და უფრო ჭკვიანთა მიერ ნაკლებად გამოცდილთა და ნაკლებ ჭკვიანთა (პირველ ყოვლისა მოზარდთა) პიროვნული ფორმირების მართვა. ცნობილია (და აღიარებულია), რომ ღმერთსაც და საზოგადოებასაც ადამიანი უნდა, როგორც არა უფორმო მასა, არამედ როგორც მოაზროვნე და რაღაცა გარკვეულ ფარგლებში თავისუფალმოაზრე. მაგრამ რომელია ეს ფარგლები? როცა მთის თემის წევრი თავისუფალმოაზრეა და მას ამისთვის ქოლავენ ან იკვეთენ, ეს, ტიპიურ შემთხვევაში, უარყოფითად ხასიათდება, როგორც სიბნელე, ბარბაროსობა და ადამიანთა პროგრესის შემაფერხებელი. მაგრამ, მეორე მხრივ, ცნობილია და ეს იცოდა ჯერ კიდევ პლატონმა, რომ ყოველი ცივილიზაცია დამყარებულია რაღაცა პოსტულატებზე (ანუ დასაბუთების არ მომთხოვნ დებულებებზე), როგორც ასეთებზე, და როგორც კი ეს პოსტულატები კითხვის ქვეშ დადგება (ანუ გაცნობიერდება, რომ შესაძლებელია სხვა პოსტულატებზე დამყარებით ცხოვრებაც), ამ ცივილიზაციას საფუძველი ეცლება (ამიტომაც თავის იდეალურ სახელმწიფოში პლატონი მოითხოვდა, ბავშვებს არ სცონოდათ, რომ ოდესმე სხვა ბავშვებს სხვა თამაშები უთამაშიათ და სხვა სიმღერები უმღერიათ). ერთის მხრივ, თავისუფალი, ანუ სხვისი ჩაურეველი, განვითარებისა და აზროვნების და, მეორეს მხრივ, პედაგოგიკის ურთიერთმიმართება, ისევე, როგორც საზოგადოებაში თავისუფლებისა და ორგანიზაციის მიმართება და მრავალი სხვა დილემა თავისი ბუნებით მარადიული დაპირისპირებებია და მათდამი დამოკიდებულებაში კონკრეტულ შეცდომებს ვერავინ გაექცევა. ამოცანაა მხოლოდ ის, რომ ამ შეცდომათა შემცირება შევძლოთ, მაგრამ ამ ურთიერთმოპირისპირე მიმართულებით ჩვენი მასტიმულირებელი ფაქტორებისა და იძულებების ფონზე ზოგი რამ მაინც უდავო რჩება. მაგალითად, უეჭველია, რომ ბარბაროსული რეკლამა „დაემორჩილე წყურვილის გრძნობას“ (იგულისხმება: იყიდე და დალიე „სპრაიტი“), როგორც კომერციული მოწოდება, ანტიპედაგოგიურია და მავნეა ისეთი საზოგადოებისათვის, რომელიც ბავშვს ეუბნება „შვილო, მოითმინე ტკივილი, თუ გინდა, რომ ჯანმრთელი კბილები გქონდეს“ (იგი რაღაცით გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩაითვლება, რომ ბავშვმა აღზრდის პროცესში უნდა ისწავლოს საკუთარი ძალებით გზის გარკვევა გონივრულ მოწოდებებსა და ერთუჯრედიანი გონებისათვის განკუთვნილ კომერციულ მოწოდებებს შორის). ასევე უეჭველად ბარბაროსულია და პრიმიტიული გონებისთვის განკუთვნილია (ამდენად — აუდიტორიისთვის გამაპრიმიტივებელია) განვითარების პროცესში მოზარდისთვის (ან, კიდევ უარესი, საერთოდ, საზოგადოებისთვის), იდეათა და სააზროვნო თემათა რაღაცა გარკვეული კლასის მალვა (ვთქვათ, ფსიქოანალიტიკური თემებისა). რაციონალური ბალანსის ძებნისა და პოვნის ყოვლად მიუცილებელ უნივერსალურ ამოცანას ამ შემთხვევაშიც (პირადი და სოციალური პედაგოგიკის სფეროშიც) არსებითად და პრინციპულად მეცნიერული (მეცნიერებაზე ორიენტირებული) ხასიათი აქვს. ამ შემთხვევაშიც დამგეგმავისა და მმართველის პროგრამა-მაქსიმუმია არა შეუცდომლობა (რაც შეუძლებელია), არამედ შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა. მაგრამ ეს მხოლოდ პრინციპულადაა ასე. რეალურად დღეს, კომერციის ფაქტორის მახინჯი გავლენის გარეშეც, ამ სფეროში მონაწილეობს არანაკლებ მახინჯი ზოგადი წანამძღვარიც: რომ მოვლენათა გარკვეული კატეგორია (უფრო მეტიც: მათ გარკვეული კლასთა გარკვეული სიმრავლეც) დადებითად მარკირებულია (ანუ მისაღებად, სასურველად, საპრესტიჟოდ წარმოდგენილია) აპრიორულადვე, ანუ არა ამ მოვლენასთან მოზარდისა თუ მოქალაქის პირდაპირი უშუალო ურთიერთობისგან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად, არამედ იმისდა მიხედვით, რაც მასზე წინასწარ ცნობილია გააზრების გარეშე, სახელდობრ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წარმოშობისაა იგი. „სპრაიტი“ და „კოკაკოლა“ ფიზიკურად არ ხასიათდება იმგვარი თვისებებით, რომლებიც მას კონკურენციის გარეთ დააყენებს სხვა გამაგრილებელ სასმელებთან. მაგრამ მას ბაზარში, ანუ მომხმარებლის წინაშე გაშლილ კომერციულ ასპარეზზე, თან ახლავს შარა-

ვანდი იმისა, რომ იგი მსოფლიოს ტექნიკურად ყველაზე განვითარებული ნაწილის ცხოვრების ელემენტია, ამ ნაწილის მიერ მიღებული და აღიარებული. ეს მარტივი მოვლენა თავისთავში ასახავს უფრო რთულსა და ზოგად ვითარებას, რომელსაც ეწოდება „დასავლური ღირებულებების“ აღიარების, გავრცელების, მათთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციის მექანიზმები და პროცესები იმ საზოგადოებებში, რომლებიც მათს წარმომშობ „დასავლეთს“ არ ეკუთვნიან. ის, რომ ამა თუ იმ ღირებულების (ღირებულსაგნის. Wertding) რანგი და მისი ღირებულების დონე განსაზღვრულია სხვა რამითაც, გარდა მისი პირდაპირი და უშუალო სახმარი და საცვლელი თვისებებისა, სახელდობრ, იმით, რომ იგი დასავლურია, საზოგადოებაში შობს ტლუსა და ყრუ უკრიტიკობას. საზოგადოების განწყობაში იქმნება ე.წ. „მარგინალური ცივილიზაციის“ პრინციპზე აგებული ზონა, რომელშიც მაკომპლექტებელ ელემენტებად არიან იმგვარი საგნები, რომელთა შემოტანა საკუთარ ცნობიერებასა და წარმოდგენაში ადვილია, რადგან ისინი არც განვითარებულ გონებას, არც საკუთარ ძალისხმევას არ მოითხოვენ, მაგრამ ასეთ ელემენტებად ვერ ფიგურირებენ იმგვარი საგნები, რომელთა ათვისება განვითარებულ გონებას ან ძალისხმევას ითხოვს (ასეთი ცივილიზაციის კლასიკური მაგალითია რომელიმე კუნძული, სადაც ევროპიდან ადვილად შედის სანთებელა, სიგარეტი, სალეჭი რეზინი და სქესობრივი ლიბერალიზმი, რადგან მათი ათვისება ადვილია, მაგრამ ვერ შედის უმაღლესი მათემატიკა, კანტის ფილოსოფია და სამართლის ფუძემდებელ პრინციპთა ცოდნა, რადგან მათი ათვისება ძნელია, რითაც თავისთავად იქმნება თანამედროვეობის ერთგვარი ბუნებრივი სანაგვეები).

ეს სფერო — ინფორმაციული თავისუფლებისა და პედაგოგიკის (ამ სიტყვის ფართო აზრით) სფერო — უფრო რთულია იმაზე, რასაც თავიდან შევეხეთ, თუმცა ნაკლებ რთულია იმაზე, რაზეც საუბარი ქვემოთ მოგვიწევს. ამ სფეროშიც გზის ადექვატურად გარკვევისათვის ერთადერთი საიმედო მეგზური — მეცნიერება — არსებობს.

* * *

ამიტომ წავიდეთ კიდევ ცოტა წინ. სახელდობრ, გავიხსენოთ, რომ საზოგადოებაში ხილულ ფენომენს, — სოციალურსაც და პოლიტიკურსაც, — როგორც წესი, თავისი ფილოსოფიური და ზოგჯერ ეზოტერული მხარეც აქვს. რა არის თავისუფლება, რომელსაც საზოგადოების ცხოვრების ტრადიციული წესის ხელყოფის ყველა ზემოხსენებული მცდელობები და მიმართულებები იმოწმებენ, როგორც თავის მთავარ იდეოლოგიურ წანამძღვარს? ამ ცნების შინაარსი არ არის და ვერც იქნება დეფინიციის (ანუ მასზე უფრო ზოგადი გვარისა და მისი სპეციფიკური ნიშნის მითითების) საგანი. იგი არის ჩვენი ერთერთი ინტუიცია, ანუ უწანამძღვროდ მოცემული ცხადი განცდა, რომლის რაობა და რაგვარობა შეგვიძლია სიტყვებისა და გამოთქმების აუარებელი სხვადასხვა კომბინაციებით გამოვთქვათ (ამიტომაც თავისუფლების საყოველთაოდ მიღებული და ამგვარად პრივილეგირებული გაგება ფილოსოფიაში არ არსებობს). სადღეისოდ ადამიანის აზრმა განასხვავა ერთიმეორისაგან ნეგატიური თავისუფლება, ანუ თავისუფლება რისგან (freedom from). ეს არის ის მდგომარეობა, როცა ვერავინ ვერაფერში მმართავს, არამედ მხოლოდ ჩემი ნებით ვმოქმედებ და პოზიტიური თავისუფლება (თავისუფლება რისთვის freedom to). ეს არის მოქმედებათა ის თვალშეუვლები არეალი, რომელთა განხორციელება მე ძალმიძს იმის წყალობით, რომ, ერთის მხრივ, არავისგან მართული ან შეზღუდული არა ვარ, მეორე მხრივ კი იმით, რომ საკუთარი ნება მაქვს, ანუ სამყაროში მიზეზობრიობათა ახალი ჯაჭვის დამწყები ვარ მხოლოდდამხოლოდ იმის ძალით, რომ ასე მოვინდომე). მაგრამ რას ვინდომებ? თუ განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე ვდგავარ, მაშინ, შესაძლოა, ჩემი სურვილი და მონდომება მდგომარეობდეს მხოლოდ ჭამა-სმაში და, ჩემი მოხასიათებისამებრ, დაუსჯელ-დაუჯარიმებელ ბღავილსა და ხელ-ფეხის ქნევაში, რისი ყველაზე კარგი ასპარეზიცაა ტყე და მინდორი. მაგრამ თუ ადამიანის, როგორც გონიერი და არჩევანის მქონე არსების, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ვიმყოფები, მაშინ, პრინციპში, ჩემი სურვილისა და ნების სფერო მოიცავს მთელ სამყაროს, როგორც მინიმუმი — დედამიწის დასახლებულ ნაწილს თავისი კაცობრიობითურთ, ყოველ შემთხვევაში — ჩემს გარშემო მდებარე ჩემს ქვეყანას მაინც. ადამიანს, როგორც ფაქტი, აქვს ის თვისება, რომ მისი გონებისა და განცდის ჰორიზონტი უსასრულობისკენ ისწრაფვის, მის ინტერესებში, პრინციპში, ყველაფერი შედის, პრაქტიკულად — ყველაფერი ის, რაც ადამიანებს, მათს ცხოვრებას, ურთიერთობებს, მათს ურთიერთიერარქიას ეხება. ამიტომ მისი ყველაზე დიდი თავისუფლება, ამასთან — სპეციფიკურად ადამიანური თავისუფლება, რომელსაც მოკლებულია რაგინდარა გალაღებული ლომი ან ხარჯიხვი, ისაა, რომ სამყარო, პრაქტიკულად — მისი ყველაზე უფრო ხილული და ახლობელი ნაწილი მართოს, ანუ მას ის სახე მისცეს (თავისი შესაძლებლობისდაკვალად), რომელიც უკეთესად მიაჩნია. უფლებადაცვითი მოძრაობის იდეოლოგია დღეს (თუმცა მომავალში ეს, ალბათ, ასე არ იქნება), იმოწმებს რა ადამიანის თავისუფლებას, როგორც თავის საყრდენს, სინამდვილეში ადამიანის პოზიტიური თავისუფლების მხოლოდ იმ პირველ ტლუ ადამიანისთვისაც მისაწვდომ მხარეს ხედავს, მაგრამ სრულებით ან თითქმის სრულებით უგულებელყოფს (და ხანდახან უარყოფს კიდეც) მეორეს. ალნიშნავს რა მაქსიმალური ხაზგასმით, რომ მისი ზრუნვის საგანია ინდივიდი (და არა ორგანიზაცია, ინსტიტუტი, სიმრავლე თვით ერისა და სახელმწიფოს დონემდე), იგი ვერ ამჩნევს (ან: არ ამჩნევს) იმ ელემენტარულ ფაქტს, რომ თვით ინდივიდის ინტერესთა და მის ღირებულებათა სფერო არ შემოიფარგლება მისი ინდივიდუალური ორგანიზმის, ინდივიდუალური არსებობისა და წარმატების ინტერესებით (ამით შემოიფარგლება მხოლოდ ზემოხსენებული ტლუს ინტერესები, ისიც ვერა, რადგან ოჯახი და მეგობრები მასაც ჰყავს). მისი ძირითადი და უმრავლესი ინტერესები მის კანს გარეთაა და თუ გვინდა ინდივიდის დაკმაყოფილება (ფართოდ ვთქვათ — მისი ბედნიერება), მაშინ მას პირველ ყოვლისა ის მისი ტყავის გარეთ მდებარე დაკმაყოფილებები უნდა მივანიჭოთ (კარგად ვუმყოფოთ ოჯახი, ქვეყანა, დედამიწაზე სიკეთე ვაზეიმოთ, როგორც მას მოსწონს, და ა.შ.). (აქ აუცილებელია შევნიშნოთ: ის ფაქტი, რომ უფლებადაცვითი მოძრაობა ადამიანის განუყოფელ უფლებად რაცხს თავისი სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობას არჩევნებში და რეფერენდუმებში ხმის მიცემის სახით, ზემოთქმულში არაფერს ცვლის, რადგან ამ უფლებაში იგულისხმება, რომ ადამიანი მონაწილეობს თავისი სახელმწიფოს, ანუ თავისი საცხოვრებელი გარემოს, ბედის განსაზღვრაში, მაშასადამე, თავისი ცხოვრების კეთილმოწყობაში, რაც ცხოველისთვისაც მისაწვდომია, ვთქვათ, თავისი ბუნაგის მოწყობის სახით, მაგრამ არ იგულისხმება მისი მონაწილეობა სამყაროს მართვაში, ანუ იმის განსაზღვრაში, რასაც მის კომფორტსა და კეთილდღეობასთან კავშირი არა აქვს და რაც მისთვის, ამგვარად, მხოლოდ მენტალური და სულიერი ინტერესია).

ეს გახლავთ ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობის როგორც იდეოლოგიის, ისე პრაქტიკის ფუნდამენტური, ამასთან — ძირითადი ნაკლი მისი განვითარების დღევანდელ ეტაპზე: იგი ხედავს ადამიანის სიღრმისეულ ადამიანურ ინტერესთა მხოლოდ ერთ ნაწილს, მაგრამ არ ხედავს მეორეს, სახელდობრ, ხედავს მხოლოდ იმას, რაც დაკავშირებულია სიცოცხლისა და კომფორტის ინტერესებთან (ამ უკანასკნელი სიტყვის ყველაზე ფართო აზრით), მაგრამ არ ხედავს იმას, რაც ამ ინტერესებს სცდება, სახელდობრ, რაც დაკავშირებულია მის უმაღლეს ადამიანურ ფუნქციასთან — სამყაროს (პრაქტიკულად — დედამიწის, როგორც ადამიანთა საცხოვრებელი ადგილის) მართვის ადამიანურ მოთხოვნილებასთან, რითაც ადამიანი ცოცხალ ბუნებაში ერთადერთია და რაც მთავარი შინაარსია ბიბლიური ფორმულირებისა, რომ ადამიანი შექმნილია „სახედ და ხატად ღმრთისა“. ეს ფუნდამენტური ნაკლოვანება განსაზღვრავს ხსენებული იდეოლოგიისა და პრაქტიკის ორ კონკრეტულ ხარვეზს ორი სხვადასხვა მიმართულებით. პირველი ისაა, რომ უფლებადაცვით იდეოლოგიასა და პრაქტიკაში არსებითად უგულებელყოფილია (გამორჩენილია) ადამიანთა კოლექტივების უფლებები ანუ, რაც იგივეა, ინდივიდის ის უფლებები, რომლებიც ეხება მის მოთხოვნილებებს, როგორც კოლექტივის ელემენტისას — კოლექტივთან („შიდა-ჯგუფთან“) თავისი თავის გამაიგივებელი პიროვნებისას. მეორე ისაა, რომ თვით ამ ინდივიდუალურ ადამიანში გათვალისწინებულია მისი მხოლოდ მარტივი, სასიცოცხლოსთან მიახლოებული მოთხოვნილებები, ღირებულებები და ინტერესები, მაგრამ, ასევე, უგულებელყოფილია (გამორჩენილია) მისივე ზეპიროვნული, ე.წ. მაღალი ინტერესები, მოთხოვნილებები და ღირებულებები, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მეცნიერებისთვის (და არა მხოლოდ ჰუმანიტარული აზრისათვის) ცნობილია ამ უკანასკნელთა, პრაქტიკულად, ყოვლის გადამლახავი ძალა.

თქმულს მხოლოდ ერთი არსებითი შენიშვნა ესაჭიროება. კოლექტივების, როგორც ასეთების, ინტერესთა თემა უფლებადაცვითი მოძრაობისათვის ცნობილია და აქტუალურია, მაგრამ მხოლოდ ეთნიკურ უმცირესობათა თემის სახით. აქაც ეს თემა, ძირითადად, განიხილება როგორც ამ უმცირესობებში შემავალ ინდივიდთა დაცვისა დისკრიმინაციისაგან, ხოლო მათი, როგორც ჯგუფის, ღირებულებათა და მოთხოვნილებათა დაცვა მეტნაკლებად წინ წასულია, სადღეისოდ, მხოლოდ განათლების სფეროში.

* * *

რა შედეგს იძლევა ეს ფუნდამენტური ფილოსოფიური ცდომილება პოლიტიკისთვის? შედეგი პირდაპირია. იგი მდგომარეობს შემდეგში.

...ადამიანს ესაჭიროება კვება. დედამიწა არის კაცობრიობის საკვები ბაზა. ამ ბაზის მისაკუთრება ომების ერთერთი მთავარი მოტივია. მაგრამ არავის მოსდის აზრად, ამის გამო ადამიანებს ურჩიოს კვებაზე ხელის აღება ან უარყოს, რომ კვება ადამიანის განუშორებელი მოთხოვნილებაა! პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზაა საკვების განაწილების რაღაცა სამართლიანი ფორმის მოაზრება და შემოღება მის მსაჭიროებელ სუბიექტთა (ფაქტობრივად — ხალხთა და სახელმწიფოთა) შორის, ანუ დედამიწის, როგორც საკვები ბაზის, სამართლიანი განაწილება მათ შორის.

კვების გარდა ადამიანს სასიცოცხლოდ სჭირდება ბინა და დაცულობა. ანუ დედამიწა არის ადამიანთათვის არა მხოლოდ საკვები ბაზა, არამედ ბინათა და სიმაგრეთა სისტემაც, რომლითაც კაცობრიობა თავისი არსებობის გაგრძელებას უზრუნველყოფს. ეს ღირებულებებიც იწვევს ომებს მათი მისაკუთრებისათვის. მაგრამ ადამიანებს არც იმას ურჩევენ, რომ ბინაზე და ციხესიმაგრის მოპოვებაზე ხელი აიღონ, ისევე, როგორც არავინ ამბობს, რომ ადამიანს ბინა და ციხე-სიმაგრე არ სჭირდება. ეს შეუძლებელია. პრობლემა ამ შემთხვევაშიც იმით წყდება, რომ დედამიწა განიხილება, როგორც ბინებისა და ციხესიმაგრეების სისტემა და მოიაზრება ამ უკანასკნელთა განაწილების რაღაცა სამართლიანი წესი იმავე სუბიექტთა შორის.

ეს ორი უდავო ჭეშმარიტება უფლებადაცვით მოძრაობაში უდავოდ გათვალისწინებულია. მაგრამ არის კიდევ სხვა ანალოგიური ჭეშმარიტებაც, რომელიც გათვალისწინებული არ არის. სახელდობრ, ის, რომ ადამიანს აქვს სხვა, არც ერთ სხვაზე არანაკლები ძალის მოთხოვნილებაც, რომ დედამიწის, ანუ კაცობრიობის ბედის წარმართვაში მონაწილეობა მიიღოს, ფიგურალურად რომ ვთქვათ, დედამიწა მართოს. ადამიანს უნდა, დედამიწას პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, თავის ქვეყანას მისცეს ცხოვრების ის სახე, რომელიც ოპტიმალურად, ანუ ყველაზე გონივრულად, სამართლიანად, კეთილად, ადამიანთა გამაბედნიერებლად მიაჩნია. ის, რომ მე სხვანაირად მინდა წავიყვანო კაცობრიობის (აგრეთვე, რა თქმა უნდა ჩემი ქვეყნის, ჩემი ქალაქის, ჩემი ოჯახის...) განვითარების ხაზი, ხოლო შენ — სხვანაირად, ადვილად შეიძლება ჩემი და შენი ისეთივე შეურიგებელი წინააღმდეგობის საგანი გახდეს, როგორც ჩვენი ვერმორიგება ბაღის მიჯნაზე ან სარწყავ წყალზე. ომების არანაკლები მიზეზი, ვიდრე საკვების და ბინის განაწლებაა, ესეც არის. ეს მოთხოვნილებაც ადამიანისთვის ფუნდამენტურია. ამიტომ, ისევე როგორც საკვებისა და ბინის თაობაზე, ვერც ამ სფეროში ურჩევთ ადამიანს „რად გინდა სამყაროს მართვა? რად გინდა შენი ქვეყნის მომავალზე და მის უკვდავებაზე ფიქრი? დაეტიე შენს ეზომიდამოში და საწარმოში, ჩვენ ყველანაირად დაგეხმარებით გამოკვებასა და უსაფრთხოების დაცვაში, მაგრამ მოეშვი ჩვენს შევიწროებასა და საკუთარი ნერვების შლას იმაზე ზრუნვით, საით მიდის შენი ქვეყანა, კაცობრიობა თუ შენი შთამომავლობის მომავალი გარემოს ევოლუცია“. მისი ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ისევე როგორც მისი მოთხოვნილებისა საკვებსა და ბინაზე, მხოლოდ ერთი გზით — დედამიწის, როგორც მართვის ობიექტის, სამართლიანი განაწილების რაღაცა წესის მოაზრებითა და შემოღებით შეიძლება. იმისთვის, რომ ეს გაკეთდეს, გადამწყვეტია ორი ფაქტორი. ერთია კეთილი ნება, სახელდობრ, აღიარება ადამიანის უფლებისა, რომ, პრინციპში, სამყაროს თანამმართველი იყოს, ანუ იმისა, რომ მას აქვს იმით დაინტერესების უფლება, დარჩება თუ არა, ვთქვათ, მისი ერი მისი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობად 500 წლის შემდეგ, და შესაბამის მიგრაციულ პროცესში საკუთარი სიტყვის თქმის უფლება. მეორეა ისევ და ისევ მეცნიერება, ანუ ადამიანისთვის ყველა რეკომენდაციის, ყველა მოთხოვნის, მათ შორის — მის მიერ საკუთარი თავის ასეთი და ასეთი შეზღუდვის მოთხოვნის მიწოდება არა ვიღაცის ან ვიღაცების, რაგინდარა განვითარებულობისა და დემოკრატიულობის, გემოვნების სახელით, ან ამა და ამ ზეგანვითარებული ცივილიზაციის მარტოოდენ მაგალითის სახელით და ასე შემდეგ, არამედ მხოლოდ დასაბუთებული ცოდნის სახელით, რომლისთვისაც, როგორც ეს ცოდნას ეკუთვნის, არაფერია წინასწარვე ურყევი და ხელუხლებელი. ამ ფაქტორთა მოქმედების გარეშე ადამიანის ყველაზე უფრო ადამიანური უფლება — ღვთის სახედ და ხატად ყოფნის, ანუ სამყაროზე პასუხისმგებლობის ქონის უფლება — დაუცველი დარჩება და ადამიანთა მტრობის ეს ერთერთი მთავარი და ყველაზე სტაბილური მიზეზიც — მოუგერიებელი.

* * *

ეს ფუნდამენტური ხარვეზი ადამიანის უფლებათა დაცვის საქმისა ყველაზე მეტად ვლინდება და ყველაზე სახიფათო ნელი მოქმედების ნალმებს შეიცავს ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უფლებებისადმი მიდგომაში. ერი არ არის არც შპს, არც ადამიანთა ყოველდღიურობის მოწყობისთვის განკუთვნილი ერთერთი და სხვით შეცვლადი ორგანიზების ფორმა. ერი არის ადამიანთა ბუნებითი (ან ასეთად განცდილი) ერთობა, ანუ იგი არის ის პრაქტიკულად ერთადერთი ერთობა ადამიანებისა, რომელთანაც რიგითი პიროვნება (და არა მხოლოდ გამორჩეული, რომელიც თავის თვითიდენტიფიკაციას შესაძლებელია თავისი გამორჩეული საქმით განსაზღვრავდეს) საკუთარ თავს აიგივებს გენუინურად (ბოლომდე გულწრფელად და ნამდვილად), რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ ერთობის სახით იგი საკუთარი თავის უკვდავებას ხედავს (პოზიცია, „მე მოვკვდე, ოღონდ ჩემმა ქვეყანამ იცოცხლოს!“ კაცობრიობისთვის ტიპურია. პოზიცია „მე მოვკვდე და კომპანიამ იცოცხლოს“ რეალური არ არის). მხოლოდ ამ, მის მიერ მართლაც საკუთრად მიჩნეული ერთობის შემადგენლობაში ყოფნით, მასთან

გაგრძელება მე-16 გვერდზე

## ჩვენი აზრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-15 გვერდიდან

# „საქართველოს“ ფურცლებზე უახლოეს მომავალში

(და არავისთან სხვასთან) ერთად შეუძლია ადამიანს, რომ დაიკმაყოფილოს თავისი ორი გარდუვალი მოთხოვნილებაც, რომლის გარეშეც იგი მოკლებულია საკუთარი თავის სრულფასოვანი პატივისცემის საშუალებას (თუ ზემოხსენებულ შეუქცევადად ტლუთა კლასს არ ეკუთვნის): მას შეუძლია იყოს მსოფლიო სისტემის პრინციპულად თანასწორუფლებიანი წევრი და იგი შეიძლება იყოს წარსული და მომავალი ისტორიის მონაწილე. ამიტომ ეროვნული ინტერესი ადამიანისთვის ონტური (არსებობისეული) ინტერესია და არა მატერიალური და კომფორტისეული. ადამიანს უნდა თავისი ერის არსებობა და მარადიულობა განურჩევლად იმისა, ეს არსებობა პირადად მას რამეში არგია თუ არა. ამიტომვეა, რომ მას აქვს, საკუთარ ცნობიერებასა და განცდაში, ერის ისტორიული მეხსიერება, მას აქვს სიამაყე თავისი ერის მიერ მოპოვებული წარმატებებით, სირცხვილი მის მარცხთა გამო და სინანული მის არამორალურ ნაბიჯთა გამო (თუკი ასეთები არსებობს და გაცნობიერებულია) და ასე შემდეგ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანის მოთხოვნილებათა ეს კლასი პრაქტიკულად საყოველთაოა ან თითქმის საყოველთაოა (თუმცა ზემოხსენებული ტლუს ეფექტი, ანუ ადამიანთა გარკვეული რიცხვისთვის ამ რიგის ინტერესთა არარსებობაც, ფაქტია). შესაბამისად, მოთხოვნილებათა, ღირებულებათა და ინტერესთა ამ რიგის გამოტოვება როგორც სოციალური, პოლიტიკური და ისტორიული ცხოვრების ანალიზის, ისე მისი პროგნოზისა და დაგეგმვის პროცესში არარეალისტურია (ადამიანის ნამდვილი ბუნების საწინააღმდეგოა) აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით. ეროვნული თვითცნობიერება განსაზღვრავს არა მხოლოდ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს საჭიროებას, არამედ ამ სახელმწიფოს რაგვარობასაც: ფუნდამენტური მნიშვნელობის (და ამავე დროს პრაქტიკულად უდავო) პროგნოზია, რომ განჭვრეტად მომავალში მსოფლიო წავა სხვადასხვა ერების მიერ თავისი ბუნებისა და ამოცანების შესაბამისად შექმნილ სახელმწიფო მოდელთა კონკურენციის გზით, და არა მისი ერთიანი ნიმუშის ტირაჟირების გზით (იხ. „საქართველოს“ წინამდებარე ნომერი, გვ. 12).

* * *

ჩვენთვის დაახლოებით ცნობილია (რადგან მოვლენათა დაკვირვება შესაბამისი დასკვნების საშუალებას იძლევა), რომ ადამიანთა ცნობიერების გარკვეული მიმართულებით მანიპულირების ის ელემენტები, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ და რომლებიც უაღრესად მძიმე შედეგების მომტანია კაცობრიობისთვისაც და კონკრეტული ქვეყნებისათვისაც, საქართველოს ჩათვლით, ძალიან ღრმა ფაქტორებისა და მოტივების მოქმედებას ემყარება. ყველაზე საყოველთაოდ მოქმედი, ანუ კაცობრიობის, როგორც მთელის, მიმართ მოქმედი (და არა მხოლოდ მისი ერთი ნაწილის უპირატესობისაკენ მიმართული მისივე სხვა ნაწილებთან შედარებით), უნდა ვივარაუდოთ, ორია. ერთი ის არის, რომ დომინაციის — ადამიანზე ადამიანის გაბატონების — ტექნოლოგია, ისევე როგორც ყველა ტექნოლოგია საერთოდ, მზარდია (არც ერთ ისტორიულ დიქტატორს, მაგალითად, არ ჰქონია ხელთ ვიდეოთვალი ან სიცრუის დეტექტორი). ამით, თითქოს, ისტორიულ აუცილებლობად იკვეთება იმის პერსპექტივა, რომ რადიკალურად გაიზარდოს პოლიტიკურსა და სოციალურ პლანში, უფრო ზოგადად ვთქვათ — ორგანიზაციულ პლანში ადამიანთა ფართო მასებზე ზემოქმედებისა და კონტროლის ხარისხი და მათი მართვადობის ზომა. ამ ახალი ვითარებისთვის იმ ადამიანთა მომზადება, რომლებიც მართულთა როლისთვის არიან განკუთვნილნი, მმართველობის მსურველთათვის საჭიროა, წინააღმდეგ შემთხვევაში — ანუ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანთა მასები ხსენებულ ახალ ტექნოლოგიურ სიტუაციას თავისი დღევანდელი ან, მით უფრო, გუშინდელი და გუშინწინდელი დამოუკიდებელი ცნობიერებით შეჰხვდებიან, — ეს მართვა არ შედგება. ამისთვის მენტალურ და სულიერ მოთხოვნილებებშეკვეცილი და, რაც მთავარია, კომფორტის გარკვეულ სახეებზე, სახელდობრ, მისგან პრაქტიკულად დამოუკიდებლად წარმოებულისა და მისთვის სხვის მიერ მიწოდებულ სახეებზე ორიენტირებული, მათზე დამოკიდებული ადამიანის შექმნა არის საჭირო. მეორე ფაქტორია მატერიალური და ფინანსური სიმდიდრის და, შესაბამისად, ამ უკანასკნელის სოციალური და პოლიტიკური ძალის ამდენადვე ბუნებრივი ზრდის პერსპექტივა, რაც ადამიანის იმავე ტიპის კულტივაციას მოითხოვს.

ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორია ამ პროცესთა და მათთან ერთად ადამიანის მანიპულირების მიმართულებით წარმოებულ ამ ძალისხმევათა რეალური პერსპექტივა? სავარაუდოა, არც ისე დიდი. მხედველობაში გვაქვს ჯერ კიდევ ბერძნებისათვის ცნობილი შემდეგი კანონზომიერების მოქმედება: სუსტები და ღარიბები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ ძლიერებისა და მდიდრების შემოტევის მოგერიებას, თუ პირველთა ჯამური ძალა და სიმდიდრე აღემატება მეორეებისას. როგორც დომინაციის (ადამიანებზე ბატონობის) ტექნოლოგიის ზრდა, ისე მათი ეკონომიკური შესაძლებლობების განსხვავებისა გარდუვალად იწვევს (და უფრო და უფრო გამოიწვევს მომავალში) იმას, რომ აიწევს როგორც ეკონომიკური შესაძლებლობის, ისე მართვაში მონაწილეობის ხარისხის ის ნიშნული, რომლის ზევითაც ადამიანს შეუძლია თავისი თავი მიაკუთვნოს მმართველთა და არა მართულთა რიცხვს, რისი შედეგიც ის იქნება, რომ სწრაფად გაიზრდება საკუთარი თავის „ღარიბებად“ და „სუსტებად“ ჩამთვლელი ანუ მათთან თავისთავის მაიდენტიფიცირებელი ფენების რიცხვი. ამ ფენას ახალ-ახალი ფენები შეემატებიან და, ამგვარად, მათი ჯამური ძალა და სიმდიდრეც განუხრელად მზარდი იქნება, რაც, ფსიქოლოგიურ ფაქტორთან ერთად (რომელიც, ცხადია, ამ მზარდი დომინაციიის წინააღმდეგ იმუშავებს), ამ პროცესის მიყვანას მის ლოგიკურ ბოლომდე — ძალიან მცირერიცხოვანთა მიერ დანარჩენთა სრულ დაუფლებამდე — გზას გადაუკეტავს და შეაქცევს.

**პროცესის გაგება (რაც მეცნიერული ანალიზით მიიღწევა), მათი პროგნოზირება (რაც ისევ და ისევ მეცნიერული და, ზოგადად, სააზროვნო ამოცანაა) და მათს აგორებულ ზვირთებში თავის გადარჩენა (ისევე, როგორც საერთოდ კაცობრიობისთვის მათი რეგულირების გაადვილება) ყველა შემთხვევაში აზრის დაძაბულ წინასწარ მუშაობას მოითხოვს. ვითვალისწინებთ რა ქართველი ერის დიდ პოტენციალს ამ მიმართულებით, ვგეგმავთ ამ რიგის საკითხებზე შესაბამისი უნარით აღჭურვილ ავტორთა (მათ შორის — დამწყებთა) მოსაზრებების სისტემატურ პუბლიკაციას და თავისუფალი დისკუსიის წარმოებას. საზოგადოებას მივმართავთ თხოვნით, რომ ჩვენი განხილვის აქტიური და გულწრფელი მონაწილე იყოს. ვფიქრობთ, რომ საქართველო, თავისი ზემოხსენებული დიდი ინტელექტუალური პოტენციალიდან და თავისი ამჟამინდელი უკიდურესი განსაცდელიდან გამომდინარე, დღეს მოწოდებულია, რომ არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ კაცობრიობისთვისაც უაღრესად სასარგებლო ჭეშმარიტებებს მიაგნოს ამ სფეროში.**

**ჩვენი დევიზია ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის იდეოლოგიისა და პრაქტიკის აყვანა მკაცრად მეცნიერულ დონემდე. ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალურ პოტენციალს, რომელსაც მივმართავთ, ამ საქმეში თავისი სიტყვა ეკუთვნის.**

# THE ECONIMIST-ის ფრთხილი ოპტიმიზმი საქართველოს საპარლამენტო არჩევნების წინ

ა.წ. 17 მაისის ნომერში ჟურნალი უწინასწარმეტყველებს მკითხველს, კოდორის ხეობა თუ არ გსმენიათ, შეიძლება იგი თქვენი ყურადღების სფეროში ახლა მოექცესო. შესაძლებელია, იქ ცხელი ომი ატყდესო. რატომ? რუსეთი, რომელიც აფხაზეთის რეჟიმს მფარველობს, დაჟინებით იმეორებს, რომ საქართველო აპირებს ამ ხეობის პლაცდარმად გამოყენებას, მაგრამ ეს სიმართლეს არ ჰგავსო. საქართველოს მცირე, თუმცა თანამედროვე არმია ვერ შეებრძოლება რუსეთის ბეჰემოთსო, გარდა ამისა, ომის შემთხვევაში, საქართველოს გადაეწურება ნატოში გაწევრიანების იმედიო. იმის, რაც ხდება, უფრო რეალური ახსნა ისაა, რომ თვით რუსეთი, რომელსაც აფხაზეთში თავისი რეგულარული და არარეგულარული ძალები შემოჰყავს და შემოჰყავს, ამ თავისი პროპაგანდისტული შეტევის ფონზე თვით ფიქრობს კოდორის აღებასო. ეს დაამცირებს სააკაშვილს და შესაძლოა მის გადავარდნასაც გამოიწვევსო. თუ ეს მოხდება, რუსეთის თვალსაზრისით, ეს იქნება მტკიცე პასუხი იმ სავალალო ინციდენტზე, რომ დასავლეთმა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა: რუსეთი ამით იტყვის, შენ თუ შენს კუნთებს გვიჩვენებ, სერბიას რომ კოსოვოს ართმევ, ახლა ჩვენ გვიყურე, რას ვუშვრებით შენს შესაძლო მოკავშირესო. ომი, ჟურნალის აზრით, დაამსხვრევს საქართველოს უიმისოდაც მყიფე დემოკრატიას, დესტაბილიზაციას შექმნის მთელს კავკასიაში და გაათამამებს რუსეთს საქართველოში კიდევ სხვაგან და სხვაგან არეულობის მოსაწყობადო. ეს ისეთი უსიამოვნებაა, რომლის ასაცილებლად ძალისხმევა ღირსო“, — ასკვნის ჟურნალი.

ჟურნალს მიაჩნია, რომ თუ მედვედევს სურს სერიოზულად შეჰხედონ, როგორც არა მხოლოდ პუტინის მარიონეტს, მან უნდა შეარბილოს რუსეთის მიწოლა საქართველოს წინააღმდეგ. ამ ქვეყნისადმი მუქარა სასაცილოს ხდის ყოველივე ლაპარაკს კანონის ერთგულებაზე. შესაძლებელია, ჟურნალის აზრით, სხვათა დახმარებაც საქართველოსთვის. მაგალითად დასახელებულნი არიან ლიტველები, რომლებიც საქართველოს გამოესარჩლნენ, და საგარეო საქმეთა ხუთი მინისტრი, რომელნიც საქართველოში ჩამოვიდნენ, რათა რუსეთის მიერ საქართველოსთვის მათრახის ქნევის გამო მწუხარება გამოთქვან. კოდორის ხეობაში უცხო სამხედრო და პოლიტიკური მისიების ჩასვლა, ჟურნალის აზრით, კარგი იქნებოდა, რადგან ამით გამჟღავნდებოდა რუსეთის სიცრუე, თითქოს საქართველო ომს ამზადებდეს. შეიძლება ამან შეაკავოს რუსეთი დარტყმისაგან. „რადგან რუსეთისთვის სხვაა ქართველი ჯარისკაცების მოკვლა და სხვაა გაეროს და ნატოს ოფიციალური პირებისა“.

ამასთან, ჟურნალის აზრით, თვით საქართველოს შეცვლა ჰმართებს. ქუჩის პროტესტებმა და ბრალდებებმა არჩევნების გაყალბების თაობაზე შელახა ქვეყნის რეპუტაცია, რამაც ხელი შეუწყო ნატოს სამიტს საქართველოსთვის იმის ჩვენებაში, რომ „მისი დაყენება ნატოს წევრობის ცხად გზაზე ნაადრევია“. საქართველოს მეგობრები შეძლებდნენ ·ასთვის მხარის მიცემას, „თუ საპარლამენტო არჩევნები არა მხოლოდ სუფთა აღმოჩნდებოდა, არამედ უხინჯოც“, — წერს ჟურნალი, პირობით კილოში, არჩევნებამდე სამი დღით ადრე. იგი ციტირებას ახდენს სააკაშვილის მომხრეთა აზრისას, რომ ოპოზიცია შეურიგებელია და ეგებ პირდაპირ მოღალატეც. „ამაში, შესაძლოა, სიმართლის ელემენტი არის, მაგრამ ეს არაა გამამართლებელი საბუთი გაყალბებული არჩევნების მოსაწყობადო“.

არჩევნების გაყალბების კონკრეტული მექანიზმების და მათთან ბრძოლის საშუალებებით მოხსენების შემდეგ ჟურნალი ასკვნის: „დემონსტრატიული შეწყვილება თავისი კეთილდღეობისა, თავისუფლებასა და კანონიერებასთან საქართველოს მოუტანდა მაღალ მორალურ პრესტიჟს და უფრო ფართო მხარდაჭერას მის სიტყვიერ ომში რუსეთთან. შესაძლოა, ეს ერთ მშვენიერ დღეს აფხაზეთის დაბრუნებაშიც წაადგება“.

ქართველი მკითხველისთვის, ბუნებრივია, უკიდურესად ამაღელვებელია ჟურნალის პოზიცია არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის თემაზე, არამედ ჩვენი ნატოს წევრობის პერსპექტივაზეც. ის, რომ სამხედრო კავშირი დასავლეთთან საქართველოსთვის აუცილებელია, ქართველ საზოგადოებას, ძირითადად, უყოყმანოდ ესმის, თუმცა ეს მთელ საზოგადოებაზე ვერ ითქმის. საკმაოდ ნათელია ისიც, რომ ევროპის ძალიან დიდ ძალებს არ უნდათ ნატოში საქართველოს წევრობა, ისევე, როგორც არ უნდათ რუსეთის, როგორც მსოფლიო ძალის, დაქვეითება (ამჟამად ან პერსპექტივაში) რაღაც გარკვეული ნიშნულის ქვემოთ. ამიტომ საქართველოს გზა ნატოს წევრობისაკენ ფრიად და ფრიად პრობლემატური რჩება. ამ ფონზე ბუნებრივია, რომ საზოგადოებაში დასავლეთთან სამხედრო ალიანსის სხვა ფორმებიც მოიაზრება ნატოს წევრობის გარდა. ერთია ორმხრივი სათავდაცვო ხელშეკრულებები დასავლეთის ქვეყნებთან, მეორეა ხელშეკრულებები, ერთის მხრივ, საქართველოს, ხოლო, მეორეს მხრივ, ნატოს, როგორც მთელს, შორის. ამ უკანასკნელ ვარიანტს ის უპირატესობა აქვს, რომ იგი შესაძლებელს ხდის ხელშეკრულებაში ყველა იმ პირობების უფრო დეტალურად გაწერას, რომლებიც, დასავლეთთან ალიანსის შემთხვევაში, საქართველოსთვის სასიცოცხლოა და რომელიც საქართველოს, როგორც ნატოს ერთერთი წევრის მიერ, უფრო ძნელად მისაღწევია, ვიდრე მისი, როგორც ხელშეკრულების ერთი მხარის, მიერ.

გაზეთ „საქართველოს“ ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი:
თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5
ტელ: 93-15-89. 93-17-10

შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.